

1954/3


ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ
ԲՈՒՆԱԿԱՆՈՒԹՅՈՒՆ



Վ. Գ. Ն. Ե. Կ. Ը

№ 12
ԲՈՒՆԱԿԱՆՈՒԹՅՈՒՆ
1954

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ
ԲՈՒՆԱԿԱՆՈՒԹՅՈՒՆ



საქართველოს სახვითი ხელოვნების მუზეუმი — თბილისის ყოფილი სასულიერო
სემინარია, სადაც სწავლობდა ი. ბ. სტალინი
გრავეურა ლინოლიუმზე ნ. ჩარნიშკოვისა



ქ ე თ ნ ე რ ი

№ 12

დეკემბერი, 1954 წ.

წელიწადი XXVIII

საპარტიველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი




7595

ოსებ ბესარიონის-ძე სტალინი



სიტყვის ძალა



როცა მიიჩე მდგომარეობაში ჩაგვიარებენ, როცა საკუთარი ძალა დამაბეჭებებს და მზად ვარ ვიტყვო, ხოლო ცხოვრება მოითხოვს სწრაფ და გაბედულ გადაწყვეტილებას, რომლის მიღება ნების სისუსტის გამო მე არ შემიძლია, — მაშინ მასხენდება ერთი ძველის-ძველი ამბავი, ოდესღაც ბაქოში გაგონილი ორმოცი წლის წინაა დადასახლებულ ნამყოფი კაცისაგან.

იგი ჩემზე წამალითი მიქმედებს, ისე ახალშესს და აძლიერებს ჩემს ნებისყოფას, რომ ეს პატარა ამბავი ჩემთვის იქნა თოლისმად, შელოცვად, იმ იდუმალ ფიქრად, რომელიც ყველას გააჩნია, ეს ჩემი პიზნია.

აი, ეს ამბავი, არაკის ზომამდე შემოკლებული, რათა მისი მოყოლა ყველასათვის შეიძლებოდეს.

ეს მოხდა ციმბირში, ორმოცი წლის წინათ. სხვადასხვა პარტიების გაერთიანებულ თათბირზე საიდუმლოდ შეიკრიბნენ გადასახლებულნი. მომხსენებელი მეზობელი ახალშენიდან უნდა მოსულიყო. ის იყო ახალგაზრდა რევოლუციონერი — დიდი, ბრწყინვალე, მრავლისაღმქმელი სახელით. მის ვინაობას არ გეტყვით.

მომხსენებელს დიდხანს უცადეს, ის კი არ ჩანდა.

თათბირის გადაღება არ შეიძლებოდა და ისინი, რომლებიც მომხსენებლის პარტიას არ ეკუთვნოდნენ, დაეინებით მოითხოვდნენ მომხსენებლისათვის არ დაეცადათ. ისინი ამბობდნენ, სულერთია, ამინდი მოსვლის საშუალებას არ მისცემს.

ამინდი, მართლაც, საშინელი იყო.

იმ წელს ადრე გაზაფხულადა, მზემ ადრე გატეხა თოვლი და სახმერთის მოტიტლებულ ფერდობებზე ისე გააღზო იგი, რომ ძალღებით მგზავრობაზე ფიქრის კი არ შეიძლებოდა, მდინარეზეც გათხელდა და გალურჯდა ყინული, ხოლო ალაგ-ალაგ კიდეც დაიძრა, ასე, რომ თხილამურებით სიარული სასიფთაო გახდა, ხოლო წყალგაღმა ნავით ცურვა ჯერ კიდევ ნაადრევად იყო: ყინულის ნამტვრევებს შეეძლო ნავის გატეხა. უამისოლად ძნელი იყო ნიჩბის მოსმით ყინულის წინააღმდეგობის დაძლევა. ამას ყველაზე ღონიერი მეოვეზეც ვერ შეძლებდა.

მიუხედავად ამისა, ლოდინის მომხრენი იარაღს არ ყრიდნენ, ისინი მომხსენებელს კარგად იცნობდნენ.

— მოვა, — დაეკინებო ამბობდნენ ისინი, — თუ თქვა, მოვალო, — აუცილებლად მოვა.

— გარემოება ჩვენზე უფრო ძლიერია, — ცხარობდნენ პირველი.

გაჩაღდა დევა... უცებ გარეთ ხმაურობა გაიშა, ქოხის მასლოლოდ მონათაზე ბავშვები აყრიანუღუნენ, ძალღებმა ყეფა მორთეს. ადღებულნი მეოვეზეები მდინარისკენ გაქცენენ.

გადასახლებულნიც გამოვიდნენ ქოხიდან და თვალწინ საოცარი სურათი გადაეშალათ.

მდინარეში ნავი აღმა მოტურავდა, ყინულის ნატებებს შორის მიხვევ-მიხვევით გზას მოიკვლევდა, ნავის კიბრზე იღვა გამხდარი კაცი, რომელსაც ბუევის ქურთუკი ეცვა და ბუევისავე ყურებიანი ქუდი ეხურა.

იგი კბილებში გაჩრილ ჩიბუხს აბოლებდა, მშვიდად და აუჭქარებლად ჭოკით ფანტავდა ყინულის ნატებებს, რომლებიც ნავს გზას უღობავდნენ.

პირველად ვერავინ შენიშნა, ნავი დინების წინააღმდეგ როგორ მოძარბავდა, მაგრამ როცა ხალხი მდინარესთან ახლო მივიდა, ყველა განცხადდა: ნავს მოათრევდნენ ძალები, რომლებიც ნაპირ-ნაპირ მობრბოდნენ.

ამ ადგილებში ასეთი რამ ჯერ არავის გაეკეთებინა. გაცილებული მეოვეზეები თავს აქნევდნენ.

მათ შორის ყველაზე ხნიერმა თქვა:

— ამდენი ხანი აქ ცხოვრობდნენ ჩვენი მამა-პაპანი და ასეთი რამ ჯერ არავის გაუბედავს.

და როდესაც გაბეღული მგზავრი ნაპირზე გადმოვიდა, მეოვეზეები დიდი პატივისცემით მიესალმნენ მას:

— ახალი ჩამოსულია და ჩვენზე უეფეთსად კი მოიფიტრა. გულადი კაცია!

მოსული მიესალმა მომლოდინეებს, ხელი ნავისა და მდინარისკენ გაიშვირა და თქვა:

— ბოღმის გიხსი, ამხანაგებო, უნებური დაგვიანებისათვის. ეს ჩემთვის მგზავრობის ახალი საშუალებაა. დრო ვერ გამოვწომე.

მე არ ვიცი ჩემთვის მოთხოვრილ ამ ბოეტურ ნოველაში გადმოცემული შემთხვევა სინამდვილეში მოხდა თუ გამოგონილი ამბავია, მაგრამ მე მინდა, რომ ყოველივე ეს სიმართლე იყოს, იმიტომ, რომ ჩემთვის არაფერია სიტყვის გაუტყულობისა და სიტყვის ძალის შესახებ შექმნილ ამ მოთხრობაზე უფრო მართალი და უკეთესი.

თარგმნა რეზა კვიციანილი





ყრმა სტალინი გორში.

სურათი მხატვარ ვუა მდივინისა.

გორი

(აკაკი და ვაჟა გორის შესახებ)

იმ ექსპონატებს შორის, რომლებიც სტალინის სახლ-მუზეუმის მთავარ დარბაზშია გამოფენილი, ათიათასობით ექსკურსანტი ჩერდება ქართულ და რუსულ ენაზე ლამაზად წარწერილი ლექსის წინაშე. იგი აკაკის კალამს ეკუთვნის და დაწერილია 1884 წელს.

აი, ეს ლექსიც:

გორი

(მესტვირული)

გორო, ქართლის შუაგული,
მეთაურო ქართლისაო,
აღრე ღირსად წამებულთ,
დღესაც მოქმედო მართლისაო...

ქველად მისთვის სისხლის მღვრელო,
დღეს ცრემლის და ოფლისაო,
ტყვის დამხსნელად მონაშაადო,
სიამედო ობლისაო.

გამხნევი, გავგილომგულდი,
მუხლი მოიბი შგლისაო,
გამკაფე, გადაიარე
გრძელი გზა მომავლისაო.

დასთეხე თესლი კეთილი,
შესარგო მამულისაო,
და ვნახავ ნამგლის ტრიალსა,
„შოპუნით“ მომკელისაო.

დიდმა ეროვნულმა პოეტმა ამ ლექსით გამოთქვა იმედები, სასოება მთელი ქართველი ხალხისა, — ხალხისა, რომელიც ეძებდა მხსნელს, მეთაურს, ტყვის დამხსნელს, „ობლის იმედს“. გასაოცარი სიზუსტით დაემთხვა ერთმანეთს აკაკის ეს სიტყვები და გორის მიერ მომავალში შესრულებული როლი!

მაგრამ აკაკის ამ ერთი ლექსით როდი მოუხდია ვალი გორისადმი. გორის წარსულსა და მომავალს პოეტი კვლავ შეეხო თავის შესანიშნავად გალექსილ ლექციაში „გორის ციხე“. ეს ნაწარმოებო მთლიანად აგებულია ქართლში საკვაოდ გაფრცელებული ხალხური თქმულების საფუძველზე. ლე-

გენდა ჯადმოგვეცნეს გორის ციხის დრამატულ ემი-
ზონს და დიდი სიყვარულით ხატავს, როგორც
ჰამირა მეფის, ისე უსახელო გმირი ჭაბუკის სახეც.
ჰლანინაწინაა, რომ აკაკის ეს ჭაბუკი გამოყვანილი
ყავს როგორც დაბალი ფენების ხალხის ნამდვილი
წარმომადგენელი, რომლის წინაშე დიდგვაროვანი
მთელი თავით დაბლა დგანან. ლეგენდაში გორის
ციხე წარმოდგენილია უბრალო ქართველი ჭაბუკის
გმირობის, თავგანწირულების სიმბოლოდ.

როგორც პირველ ლექსში („გორი“), ისე აქაც
აქცენტი უმთავრესად მომავალზეა გადატანილი.
ამ ნაწარმოებით ავტორი არწმუნებს მკითხველს:
გმირთა-გმირი ჭაბუკის სახსოვრად აგებული ციხე-
სიმბოლო ხალხის ქედუხრელობისა, შემდეგშია
უძლეველი დარჩება და ყველა ჯურის დამპყრობს
უჩვენებს ქართული ხმლის, ქუთავანებისა და გმი-
რული სულის ძალას:

„მოგზაუროს ხომ უყურებ
ამ ძველ ციხეს, რომ არ ჰქრება?
თითქმის დღესაც სამშობლოს მტერს
მომავალით ემუქრება“.

აკაკის ამ ლექსების მნიშვნელობა ისიცაა, რომ
მათ ქართულ მწერლობაში საბოლოოდ და სამუ-
დამოდ დაამკვიდრეს და ტრადიცია შეუქმნეს გო-
რის თემის, რომელიც ასეთი მრავალფეროვნებით
განსაკუთრებით ჩვენს დღეებში გაიფურჩქნა.

* *

ცნობილია, რომ ვაჟას პოეტური ბიოგრაფიაც
მკიდროდ არის დაცავიწირებული გორთან. მან სამ
წელიწადს (1879—82 წ. წ.) დაჰყო გორის საოს-
ტატო სემინარიაში. სწორედ ამ დროს აღძვრია
ვაჟას განსაკუთრებული ინტერესი პოლიტიკური,
ფილოსოფიური და მხატვრული ლიტერატურისად-
მი; დამახასიათებელია, რომ ლიტერატურული რე-
ფერატების კითხვასთან ერთად პირველად აქ მი-
უყვია ხელი ლექსების წერისათვის. ერთი სიტ-
ყვით, პოეტური ნათლობა გორში ყოფნის დროს
„ჟარის ბოლოს“, რომელიც სემინარიის მოსწავ-
ლეთა ხელნაწერ ლიტერატურულ ჟურნალ „რიე-
რაჟია“ 1881 წელს გამოქვეყნებულა.

სავსებით ბუნებრივია, რომ გორში გეტარებუ-
ლი დრო პოეტს ღრმად აღებუდა ნებსიერებაში და
ამ წლებმა წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა
მასზე.

რომ ეს ასეა, ამას ერთი ლექსიც კი—„ქართ-
ლი“—მკაფიოდ ადასტურებს. „ქართლი“ თავიდან
ბოლომდე პატრიოტული მღელვარებით დაწერილი

ნაწარმოებია, განაზრახულია სავსებით
ძალადული პატრიოტული ჯიშისადაც
იწყებს გორისა და მის მიდამოს სსრკ-ის
სიათებით: მუხრანს უხედა დაუბრუნებელი
აქ, მთავრად ჩამ ვაყის გულს სიხარული არ გმავ-
რებია. სასიხარულო ვერაფერი უნახავს გორის
წარსულში, რომელსაც თითქმის ხელის გულზე გა-
დაშლილი კითხულობდა. აქ ყველა ქვე წინაპარი
ცხელი სისხლით შედგებულად იმევენებოდა; მტრის
ხმლით დახოცილ ბავშვთა ძეგლები ელანდებოდა,
სეველიანად, გულისტკივილით ჩივის მგოსანი:

„გული სწუხს, ცრემლი მოდინა,
როს გხედავ ქართლის მხარესა,
ვკითხულობ გორის ციხეზედ
ჩემს ფიქრს ძველებურს, მწარესა“.

ეს ნაწარმოები ფიქრები მოსვენებას არ აძლევს ვა-
ჟას და „სისხლის ასაღებად“ უხმობს. მის თვალ-
წინ ეხატება ნგრევისა, დარბევისა და ხოცვა-ღლე-
ტის საშინელება, რაც ხშირად და ხშირად ატყდ-
ბოდა თავზე გორს. თითქმის წარსულის სიღრმი-
დან შემოესმის „თათრის“, ე. ი. ოსმალ—სპარ-
სთა ველური ურდოების „კიჟინა“, რომელთა გა-
შისვლელი ხმლები მზეზე ელავენ; ესმის ქართ-
ლის დედების სამგლოვიარო ზარია...

როცა ისტორიის ამ შავბნელ სცენებს ხატავს,
ახსენდება და აფიქრებს თავისი თანამედროვეო-
ბაც. კვლავ აღელვებს, აწუხებს სამშობლოს, ქართ-
ლის, გორის ბედი, იმიტომ, რომ მათი წყალღე
გამოღებული ვერ ნახა, სისლამდა ცრემლი ჯერაც
ამ შემოწორდა გორის მიდამოებს. ვაჟას ისეა
რჩება ალიაროს, რომ სასიხარულოს, შეებისმო-
გვრელს ის ვერაფერს იტყვის, რადგან „ზღვები
ტრიალებს კენესისა“.

მართალია, ამ ლექსში საბოლოოდ და პირდა-
პირ არ არის ნათქვამი, თუ ვისში „ტრიალებს“
„კენესის ზღვა“ (აღბათ, ცენჭურის შიშის გამო თქმ-
მაგრამ ადვილად მისახვედრია, რომ მას მხედვე-
ლობაში აქვს ქართლის დარბი მოსახლეობის
არაადამიანური შევიწროების ის სურათები, რომ
მოწმე და მნახველი თვითონ იქნებოდა გორში
ყოფნის დროს; იგულისხმება, რომ „კენესის სათა-
ველ“ ვაჟა, ერთი მხრივ, მეფის იმპერიის კოლო-
ნიურ პოლიტიკას მიიჩნევს, ხოლო, მეორე მხრივ
ადგილობრივი ჩარჩ-ვაჭრებისა და თავად-ანაწარმო-
ბის დაუსჯელ პარაზუს.

ლექსი მრავალმნიშვნელოვანი სტროფით მოთავ-
დება, რომლის მიმე, დათალხულ ფონზე მან
გამოჩანს იღუმალად მოკაიფე იმედის სხივი:

ქართლის ხერხეც მტარაინი,
ქარიზხლით დაჩაგრულენი,
სდგანან და იტყვირებინ,
დასისხლული აქეთ გულებინ*.

აქ, ქართლი წარმოდგენილია გმირად, რომლის თავზე ათას ქარიზხალსა და ნიაღვარს გადაუშვლია, რომლის გული წვეთ-წვეთად მდინარი სისხლითაა შეღებილი, მაგრამ ფეხზე დგას და მიინც იტყვირება, იტყვირება აუცილებლად წინ, აუცილებლად მომავლისაკენ.*)

ვაქას, რა თქმა უნდა, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება არც მაშინ და არც უფრო გვიან წარ-

*) დიდი ინტერესს იწვევს 1912 წელს დაწერილი ლექსიც „ქართლს“, რომელიც, სხვათა შორის, პირველად დაიბეჭდა გარის გაზეთ „ქართლში“. ლექსი თავიდან ბოლომდე ინტერუბო, გულწრფელი კითხვითა დაწერილი და ზოგიერთ ადგილას არაჩვეულებრივ მღვდლებს იწვევს. იგი მთარგმნება გარისადმი მიმართული გულითადი, დღინდემწინდელი სიტყვებით:

„შენგან აღძრულსა ფიქრებესა
ვეთაყვან-ვენაცვალეთ“.

სტალინის სახელობის სკოლაში

სტალინის სახელობის თბილისის პირველი საშუალო სკოლა დიდი უტარაინული პოეტის ლესია უტარაინას ქუჩაზეა აღმართული. მას არსებობის 150 წელზე უფრო ხნის ისტორია აქვს. ბევრი ღირსშესანიშნავი თარიღი შეიძლება აღნიშნოს ამ სკოლის ისტორიიდან, მაგრამ ყველაზე ღირსსასწავლო მანერა ის დღეა, როცა მას ხალხთა დიდი ბეზადის ი. ბ. სტალინის სახელი მიეკუთვნა ეს იყო 1931 წელს. მას შემდეგ იგი ღირსეულად ატარებს ვ. ი. ლენინის დიდი თანამებრძოლის და მისი საქმის უწყვეტი განმგრძობის დიდი სტალინის საყვარელ სახელს.

პირველი სკოლის პიონერ-მოსწავლეები ბევრს სწავლასთან ერთად აქტიურად მუშაობენ პიონერულ ორგანიზაციაში. ბევრი პიონერი კარგი სწავლითა და პიონერულ ორგანიზაციაში აქტიური მუშაობით იმსახურებს ღირსი ვახდეს ლენინური კომკავშირის წევრის საპატიო სახელსა. პატარები კი ისწავლიან, რათა მათ ყელზედაც ფრიალებდეს პიონერული წითელი ყელსახვევი.

აი, მაგალითად, მესამეკლასელ ლია ტყემლაშვილი და სოსო თავხელიძის დიდი ხანია იზიდავდათ პიონერულ ორგანიზაციაში მუშაობა, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ პიონერული ასაკისა, ზოლო, როცა პიონერული ასაკი შეუსრულდათ, სიხარულით მიმართეს თავისი კლასის ხელმძღვანელს ნადია სიხარულიძეს, რომელმაც მათი სურვილი რაზმის საბჭოს გააცნო. და აი, გვეყვებოდნენ რაზმის შეკრება დაიწყო. სხვა საკითხებთან ერთად შეკრების დღის წესრიგში პა-

მოედგინა, რომ როცა ამ სტრიქონებს წერდა, სწორედ მისი მშობლიური სემინარიის პირდაპირ პატარა შენობის წინ, ეზოში დარბოდა წლის ბიჭუნა, რომელსაც ისტორიამ არგუნა ოცდაათი-ოც წლის შემდეგ დიდი ლენინის უყვალად საქმის განმგრძობი, ხალხთა დიდი ბელადი გამხდარიყო და შეეცვალა არა მარტო თავისი მშობლიური ქართლის, არამედ მთელი კაცობრიობის ბედი, შეეცვალა ხალხის საბედნიეროდ, მშრომელი, უბრალო ადამიანების საკეთილდღეოდ.

ვაქას ამ ლექსში ლაბარაკია მწუხარებისა და შავბეღობის იმ დღეებზე, რასაც თანამედროვე მოქალაქე მუხუჭუმში თულა ნახავს! ეს ლექსები წარსულსა და განვლილზე ლაღადებს, მაგრამ თანამედროვე მითხველი მიინც საამოვნებთ ეცნობა, რადგანაც მათში ხელდას ვაქას პატრიოტული სულისკვეთების მძლავრ გამოვლინებას, სახელოვანი ისტორიული ქალაქის—გორისადმი დიდი მგონის უანგარო და გულწრფელ სიყვარულს.

საილ ბაიბაძე

ტარების პიონერულ ორგანიზაციაში მიღების საკითხიც იდგა. რაზმის საბჭოს თავმჯდომარემ ივანე ზურაბიშვილმა რაზმი რაგოლების მიხედვით ერთ ნახზე მოაწყო, გაასწორა, გაიმზადა ამცნო და გამოაცხადა:—„რაგლის ხელმძღვანელებო, მოემზადეთ პატაკებისათვის!“ ამ განკარგულების შემდეგ რაგლის ხელმძღვანელებმა სწრაფად მოაზადეს პატაკები, თავის მხრივ გაასწორეს წითელყელსახვევიანი რაგოლები და ბიჭუნები, მათ ყურადღება წარმართეს რაზმის საბჭოს თავმჯდომარისაკენ, რომელსაც რიგრიგობით, პიონერული საღმით უპატაკეს. რაზმის საბჭოს თავმჯდომარე კი მოპატაკებეს აძლევდა განკარგულებას: „თავისუფლად!“ რაგლის ხელმძღვანელებიც უბრუნდებოდნენ თავიანთ რაგოლებს და იმეორებდნენ განკარგულებებს: „თავისუფლად!“ ამის შემდეგ რაზმის საბჭოს თავმჯდომარემ რაზმის შეკრება გასწავლიდა გამოაცხადა და პიონერულ საკითხზე სიტყვა მისცა პატივცემულ ლია ხელმძღვანელს.

უფროსმა პიონერხელმძღვანელმა ლია ტურიაშვილმა რაზმის შეკრებაზე დასწრით გააცნო პიონერულ ორგანიზაციაში შემსუგლოდა ვაგერები. მოკლედ დაახასიათა თითოეული ცალკე და პიონერებს თხოვა ემსჯელათ პატარა ამხანაგების შესახებ. პიონერებმა დადებითად დააზუსტათ თავიანთი სკოლის მოსწავლეები. შემდეგ რაზმის შეკრება მოსმინა პიონერთა ორგანიზაციაში მისაღებ მოსწავლეთა კლასის ხელმძღვანელების ნადია ქოიავასა და ნადია სიხარულიძის სიტყვები. რაზმის საბჭოს თავმჯდომარემ ივანე ზურაბიშვილმა



უფროსი პიონერულმძღვანელი ლია ტურიაშვილი პიონერულ ყელსახევეს უკეთებს პიონერულ ორგანიზაციაში ახალმიღებულ ლია ტყემლაშვილს.

კენი უყარა წინადადებას, რათა დასახლებული მოსწავლეები მიეღოთ პიონერულ ორგანიზაციაში. უფროსმა პიონერულმძღვანელმა კი მისაღებ მოსწავლეს წინადადება მისცა თავიანთი ამბანაგების და წითელი დროის წინაშე წარმოეთქვათ სახეიშო დაპირება. მისაღებ მოსწავლემ, რომელიც რახის ხახის წინ იდგნენ, გასწორა, სმენახე დააყენა და გასცა განკარგულება: — «მოუხედავთ სახეიშო დაპირების წაშლისათვის». მოსწავლეებმა ხელისთ მოიწვევეს საკუთარი ხელით ფაქიხად, სუფთად გადაწერილი პიონერული სახეიშო დაპირების ტექსტები პიონერულმძღვანელმა მათ წაუკითხა სახეიშო დაპირების ტექსტი, მისაღებმა მოსწავლეებმა კი გუნდურად ხმაშლით გაიმეორეს ტექსტის სიტყვები: «მე, საბჭოთა კავშირის ნორჩი პიონერი, ჩემი ამბანაგების წინაშე ვიძლევი სახეიშო დაპირებას ვიყო ლენინის ანდრძის ერთგული, მტკიცედ ვიბრძოლო ჩემი კომუნისტური პარტიის საქმისათვის, კომუნისტის გამარჯვებისათვის. პირობას ვიძლევი ვ ცხოვრო და ვისწავლო ისე, რომ გავხდე ჩემნი საბჭოთა სამშობლოს ღირსეული მოქალაქე.»

სახეიშო დაპირების წარმოთქმის შემდეგ პიონერულმძღვანელმა ბავშვებს თხოვა სახეიშო დაპირებაზე ხელი მოეწერათ, ხოლო ხელის მოწერის შემდეგ სახეიშო დაპირების ტექსტები შეკრიბა, ახალმიღებულებს წითელი ყელსახევეები შემოახვია და მათ გულზე გაუკეთა ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩი პიონერთა ორგანიზაციის წევრობის ნიშნები. თითოეულ მათგანს ჩამოართვა ხელი და ყველას მიმართა: «დაე, წითელი დროის ეს პატარა ნაწილი, წინ გიძლიადეთ თქვენ შრომასა და სწავლას, ჩემი დიდი საბჭოთა სამშობლოს საყვარელი დედა, წითელი დროის ამ სიზბოლო მიგიყვანოთ თქვენ ნათელ მომავალზე, კომუნისტად!»

ამის შემდეგ ლია ხელმძღვანელმა ახალმიღებულებს მოწოდებით მიმართა: «კომუნისტური პარტიის საქმისათვის საბრძოლველად იყავით მზად!»

ახალმიღებულებმა პირველად, გახსაკუთრებულ სიხარულით ადგეს პიონერული საღამო: «მუდამ მზად ვართ!»

ასე გახდნენ მესამე კლასის მოსწავლეები ლია ტყემლაშვილი და სოსო თავხელიძე, აღტყინდრე გოცირიძე და ნელი შარვაძე, მერაბ ულიაშვილი და სხვ. ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩი პიონერების ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციის წევრები.

არანაკლები სიხარულით მოელოდა მეშვიდეკლასელი ანა ფიცხელაური კომკავშირულ ორგანიზაციაში მისაღებ რეკომენდაციას. როდესაც იგი უკვე თითხმეტი წლისა გახდა, მან სთხოვა მეოთხე პიონერული რაზმის საბჭოს თავმჯდომარეს გიორგი გოგინაძეს, რათა მიეცათ რეკომენდაცია კომკავშირში შესვლისათვის. რაზმის საბჭოს თავმჯდომარემ რაზმეულის საბჭოს აცნობა რაზმის ახრი, რომ ანა ფიცხელაური ღირსია კომკავშირში შესვლისა. რაზმეულის საბჭოს ხელმა მიმდინარეობდა. სხვა საკითხებთან ერთად დღის წესრიგში პიონერებისათვის კომკავშირში შესასვლელი რეკომენდაციების მიცემის საკითხიც იდგა. როცა რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარემ

მარემ სანდრო მრეველიშვილმა ანა ფიცხელაური დაასახლა, საბჭოს წევრებმა ერთხად წამოიძახეს: მიეცეთ რეკომენდაცია, ანა ღირსია იყოს კომკავშირელი.

საკითხავი არაა, რითი დაიმსახურა ანამ ამბანაგების ასეთი პატივისცემა და სიყვარული! ანამ იგი დაიმსახურა კარგი სწავლით და იმით, რომ პატიურად მიზაწილებს პიონერულ საქმიანობაში, და, რომ ყველასათვის გულისმთვით და საყვარელი ამბანავია.

რაზმეულის საბჭოს დღიურში, დღიურის დამწერმა ლამარა მეგრაკოსიშვილმა ფაქიხად ჩასწორა ფიცხელაურისათვის რეკომენდაციის მიცემის შესახებ, ხოლო რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარემ სანდრო მრეველიშვილმა კომკავშირის მიღების ანკეტის მეორე გვერდზე, გრაფაში «ნიმერი რიგზე.» პირველადგლას რეკომენდატორის გვარის მაგიერ ჩასწავრა: «ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის პირველი საშუალო სკოლის პიონერული რაზმეულის საბჭო,» ხოლო ბილეთის ნომრის ადგილას — პიონერული რაზმეულის საბჭოს დღიურის ნომერი, სტაქვის გრაფაში კი — რაზმეულის საბჭოს შეკრების თარიღი, ხელის მოწერის გრაფაში პიონერული რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარემ მ. მრეველიშვილმა მოაწერა ხელი. მეორე რეკომენდაცია ანა ფიცხელაურს მეცხრეკლასელმა ნელი მუსყერიძემ მისცა, ამის შემდეგ მან ანკეტა და განცხადება სასკოლო კომკავშირის კომიტეტის მივიანს ამხ. ლადო მალაკაელიძეს წარუდგინა.

და განა მარტო ანა ფიცხელაური მისცა კომკავშირის რიგებს ამ სკოლის პიონერთა ორგანიზაციაში? პიონერულ ორგანიზაციიდან კომკავშირში მიღებულთა რიცხვი ახლა აქ მრავალია.

პიონერები ბევრთ სწავლასთან ერთად ხელმარჯვედ მუშაობენ მათთვის საინტერესო პროფესიების დაუფლებისათ-

ქის. მრავალი მათგანი პიონერთა სასახლესთან არსებულ სხვადასხვა წრეებშია გაერთიანებული. აი, ორი მოსწავლე—მეოთხე პირველი კლასის პიონერები—ლევან ბოკერია და მურმან ნიკოლაიშვილი. ისინი პიონერთა სასახლეში მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას პრაქტიკულად ახორციელებენ. ერთხელ, ადრე დილით, ზარის დარეკვამდე ათითხუთმეტი წუთით წინ, ისინი სახეგაბრწყინებულნი შემოვიდნენ პიონერთა ოთახში, მათ მოიტანეს თავიანთი მარჯვე ხელებით ნამუშევარი კალინინის რაიონის მეოცე პიონერული შტაბებისათვის, ასევე მშენიერი ექსპონატები და ამახადეს იმ გამოფენისათვის მეოთხე რაზმის პიონერმა, ნორჩმა მძეწავმა თამაზ გამყრელიძემ, ნორჩმა მხატვრებმა: მეოთხე მეტე რაზმის პიონერმა — ვასილ მჭედლიშვილმა, მეათე რაზმიდან ანზორ ბინიაშვილმა და სხვ.



პიონერები ათვლიერებენ ლევან ბოკერიასა და მურმან ნიკოლაიშვილის მიერ გამოფენისათვის დამზადებულ ნამუშევარს.


რაზმეულის პიონერებს დიდი სიყვარული აქვთ სპორტისადმი. მათ განსაკუთრებით იზიდავთ კალათბურთისა და ფრენბურთის თამაში. რაზმეულში ექვსი კალათბურთისა და ხუთი ფრენბურთის გუნდია. კალათბურთისა და ფრენბურ-

თის მოთამაშეთაგან გამოირჩევიან: გოჩა პაიჭაძე, გიორგი მენაბდე, რევაზ პაპულიშვილი, დალი გვეტაძე, ნუგზარ ტოგონიძე, ნათელა ლეგვა, ამირ კაკაბაძე და სხვ. აქაურ პიონერებს ძალზე იზიდავთ აგრეთვე ჭადრაკის თამაში. კარგი თამაშით რაზმეულში სახელი გაითქვეს პიონერებმა—რევაზ ჭუთათელაძემ, ალექსი ბათიაშვილმა, ამირან ლომთაძემ, დავით ტულუშმა; მერაბ ცხვანჯიამ, ცილა გელაშვილმა, ვაჟა გარძიგულაშვილმა და განსაკუთრებით კი მეორეკლასელმა ხუთოსანმა მოსწავლემ გურამ საათაშვილმა. პატარა გურამი უკვე მეოთხე თანრიგოსანია ჭადრაკში. იგი პიონერთა ოთახის ზმირი სტუმარია. პიონერები თავიანთი სკოლის ამ პატარა მეგობარს პატივისცემითა და დიდი სიყვარულით გეყრობიან. და განა, სხვანირად შეიძლება! იგი ხომ მომავალი პიონერია. პიონერები კი ამთავითვე ამზადებენ თავიანთ მომავალ, ღირსეულ ცვლას ჩვენი დიდი საბჭოთა სამშობლოს საყვითღღღოდ.



რაზმეულის საბჭო კომკავშირში მისილებ რეკომენდაციას აძლევს მოწინავე პიონერს ლამარა მეგრელიშვილს.

ფოტო შ. ჩხეტიანი.



სერგეი კიროვი

(ნაწევები)

ისევ ცოცხალი,
უკვდავი და განუგმირავი,
პორიზონტებშიც
ჩაუტევი, ჩაუკეტელი,
კრემლის კედელში
საუკუნოდ ჩაწვა კიროვი,
მარადია და მაგარია კრემლის კედელი.

ისევ ცოცხალი
კრემლს სდარაჯობს, კედლებს ზვიადებს,
ცივ სამარეში
ჩაუსვლელი, ჩაუკირავი,
ყოველთვის ასე
უზარმაზარ და უღიადეს
სადარაჯოებს
დაპყიოდა ქვეყნად კიროვი.

ისევ ცოცხალი,
მზიარული, განუგმირავი
დიდ ლენინგრადის
ალტაცეზას ისევ შოიტანს,
დედა-ქალაქში
ესალმება ზეიმს კიროვი
და გადასცქერის
გახარებულ წითელ მოედანს.
ისევ ცოცხალი,
მზიარული, განუგმირავი,
ცივ სამარეში
ჩაუსვლელი, ჩაუკეტელი,
კრემლის კედელში
საუკუნოდ მიწვა კიროვი.
მარადია და
მაგარია კრემლის კედელი.

ირაკლი აბაშიძე

ნიკო და სიკო*



სოფლის განაპირას, ბარდითა და შამბნარით დაბურულ ნაწი-
ქვილარში თავჩაქონდრული იჯდა
ნიკო. ეს ნაწიქვილარი ჩვენი
გმირების საყვარელ თავშესაფარს
წარმოადგენდა. აქ საოცრად გვი-
ძლიდა. ასწლოვანი კაკლის ხეები
განუწყვეტილად შრიალდნენ; სი-
ჩუმად და მუხდრობა, რაც აქ
მუდმივად მეფობდა, იღუპოთ
ძალით იზიდავდა სოფლის ბიჭებს
ამ ნაწიქვილებისკენ.

კედლის თავებზე, ფერღობი-
დან ჩამოცურებულ ლოდებზე
ამოსული ხასი, ცხელ ამინდებში
ისე ყვილიდებოდა, რომ ერთის
შეხედვით მზისგან დამწვარი გე-
გონებოდა; მაგრამ საკმარისი იყო
ცას მცირედენი ნამი ჩამოეყრა
და ეს უსიცოცხლო, მზის მხურვა-
ლუ სხივებზე გიანაბლი ხასი
მაშინვე გაიღვიძებდა, გაცოცხლ-
დებოდა და მწვანედ დაწყებ-
და დანას.

ამ ნაწიქვილარში აფარებდნენ ჩვენი გმირები თავს, როცა
„კარად გაჭირდებოდა“ სოფლის ბიჭების ბრბო ყოველ კუთ-
ხეში დიდებდა და ვერ პოულობდა. ამ ნაწიქვილარში აწ-
კობდნენ თათგვარ გემებს, ლოდებს ლოდებზე აწკობდნენ,
ზღაპრულ კაპიტანებს და ციხე-ღარბაზებს აშენებდნენ...

ახლაც ამ ნაწიქვილარს შემოაფარა თავი ძია შიოს რისხვი-
საგან დამფრთხალმა ნიკომ. მან კარგად იცოდა, რომ ძია
შიოს მრისხანა მალე გაივლიდა. კეთილი ბიძა აგრე ეფვი-
ლად არ განსწავდა თავის ძმისშვილებს.
მაგრამ...

მაგრამ ნიკოს ახლა უფრო მეტად სხვა რამე აფიქრებდა.
ის უფრო იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ გადაეხადა სამა-
გიერო ვახტანგისათვის, რომელმაც ამ დღეში ჩააგდო ისიც
და მისი ბიძაშვილიც. ვინ იცის ახლა რა დღეშია სიკო? ვინ
იცის ძია შიოს ხელს ვერ დაუხსლტა და ვერც მოვიდეს...


მაგრამ იმ, გამსმარი ფთლის ფაჩინო მოსხმა და ნაწი-
ქვილარის ნახევრადდარბურულ კარში სიკომ შემოაბიჯა. სიკო
შეუწუხებული, ნატიარლევ და დაწითლებული თვალებით
მიანერდა ლოდზე მგდარ მეგობარს.

— მოხვდა? — თანაგრძნობით შეეკითხა ნიკო.
სიკომ პასუხის ნაცვლად წკაპლის შემორტყმისაგან წვრილ-
წვრილ ზოლივად აპრეტლებული მიხეული კანები დაიანახა
და მეგობრის პირდაპირ კენჭით ჩამოაგდა.

გაჯავრებული ნიკო ერთ ადგილზე ვერ ისვენებდა, ენა
ეხმოდა, ბირადი ღობილდებს მყრდა.

— ერთი უფრო იმ ეშმაკს, როგორ დაგვახვალ! ჩვენი
სახელი არც უხსენებია, ისე მიახვედრა ძია შიომ ჩვენი ყელი
გაცაცვლებლინეთ, ბალზე დავბატოეთ, იმან კი...

— ჩვენი ბრალია... ძია შიომ ბოის მიპარვას იმას აბრა-
ლებდა, — კვლავ ამოიკენეს სიკო.



— თავის დროზე ვერ ჩავეც-
ლა? არ ვაპტიებ, მაცალოს!
— რას უზამ? — შეეკითხა სიკო.
— სულ თავებებს ვაწყვედი-
ნენ... შენ მომეკ!

ნიკო მუხარით და ხედების
ქნევით ნაწიქვილარიდან გავიდა.
სიკო უხალისოდ აედგენა. გული
უფრთხობდა, რომ რაღაც ახალ
ადიდარბაში ითრებდა ვიუტი
ბიძაშვილი.

ნიკო ჩქარი ნაბიჯით მიჰყე-
ბოდა რუს ნაპირზე გაცალულ ბი-
ლიკს, თითქოს ცეცხვას, ისე მი-
დიოდა და განზე გადგმული დიდი
ფეხებით მისთავავდა ბილიკის
პირებზე ატეხილ შამხას და ბუე-
რას.

— აი, ამ ნაკადულით რწყავს
ის ვუბატონო... სათავეზე ავიდეთ,
იქ გაჩენება, რასაც ვუზამ...

სიკო კვლავ ყოყმანობდა. უნ-
დოდა გაჩენებინა, დაემშვიდებო-
ნა გულმოსხლი ახმაშვილი, მაგ-

რამ წაღებით აპრეტლებული კანები ახსნდებოდა. მასაც
ყელში აწვებოდა ბოლმა, სამაგიეროს გადახდის იღუშალი
სურვილი და ცნობისთვისარგობა თითქოს ხელისკვრით მია-
ქნებოდა სიკოს.

რუს სათენად რომ მიადწიეს, ნიკო შეჩერდა და ფრთხი-
ლად მიმოიხედა.

ახლო-მახლო აჩავენ ჩანდა: არც ჭალაში, არც გრძოლად
გაკალენდი ბილიკზე. მხოლოდ მთის ფერღობზე შეფენილი
სათიბიდან მოისმოდა თიბიავის სიმღერა და ცელის წყრალი.

— მივიდეთ, გადავახეთო წყალი! — ჩასრჩურა ნიკომ
სმენადცეულ სიკოს... სიკო ერთხანს ხმას ვერ იღებდა, მერე
ჩურჩულითივე უპასუხა:

— არა, მე ამას ვერ ვიზამ... მეტისმეტია...

— გეშინია? — მიახასა ნიკომ, ხელი ჰჭრა და ძალით და-
უბირა წყევანა, მაგრამ თავის სიცოცხლენი პირველად იგრძნო
გუჯჯა ბიძაშვილის ძვალმსხვილი მკლავების ძალი, ადგილი-
დან ვერ დამტარა. ზოხილთ შეუბღვარა და სათავისკენ წავიდა.

— კარგია... სიერის ხომ უფურცბი?

სათავე კარგად იყო ვამაგრებული. წყალი მოზრდილი
ლოდებით შეეგუბებინათ. ლოდებსა და ლოდს შუა, წყალი
რომ არ გაპარებოდა, ახალახებული ხელტეხი და ბუტრა
ჩაყვლებინათ.

გაისმა სათავიდან ქვევით გადახვეებული წყლის ჩხრი-
ალი. ნაკადული ხევზე დაუშვა, სოფლისკენ გაყვანილ რუთში
თანდათან დაიწვრტა წყალი. ნიკო ტალახიან ხელებს ბინანდა.
თან ემშაკურად ხითხითებდა.

— აი, ამ ქაცვის ბუქნარში დავიმილეთ და დავცელო-
დეთ...

ნიკომ ფრთხილად მიმოიხედა, თავი დადუნა და დაბურულ
ქაცვიანში შეძრა. გაოგნებული სიკოც უკან მიმყავდა.

— ახა ვინ მოიფიქრებს, თუ ჩვენი აქ ვხსენებდით? — ჩურ-
ჩილებდა იღუშალი ხმით ნიკო, თან ბუქნარში მოხერხებულ

* დასასრული. იხ. „პიონერი“ № 11.

ადგილს დაიჭრება. ქაეცის ბასრმა ეკალმა რამდენიმე ადგილას უჩხვლიტა სიკოს, მის გაბრუნებულ ყურთან კოლომატ გაიხზულია, მაგრამ ეს უცნაური გამოგონება მალე თვითონაც შესანიშნავ გასართობად ჩათვალა და მეგობრის გვერდზე დაბურთულ ჩირგვში მოიკალათა. აქ მზის მცხუნვარე სხივი ვედარ აღწევდა, ნიაფი არ ქროდა, ფოთლოცი კი არ იძროდა. იდუმალი სიჩუმე უფრო მეტად აძლიერებდა ცნობის-მოყვარობას და დღეღაწე გულისცემას.

— გაისარჯოს და ამოზრდამდეს ის მამუღლარა, ისა! არ ამოვა და, ნაკეთი მოურწყვეი დარჩება!

— რომ ამოვა, რას უზამ?.. — გულის თრთოლვით შეეკითხა სიკო.

ნიკომ ხმადაბლა გაიცინა და ისე დაუხტვინა, თითქოს თავის გულბურჭვილი მეგობარს დასცინისო.

— არაფერს... ვიჯდეთ და სერის ვუყუროთ... რომ ამოვა და გაუგდებს, ისევ დავუწყვიტოთ წყალი... ასე ვისხუთ ამ ბუჩქნარში, აღმა-დღმა ვასერინოთ და ვიცინოთ! ხომ კარგია, შა?.. მაშ რა ეგონა..

ღრო გადიოდა. ნიკო მალმალე გადასწევდა ტოტს, გაიხედავდა და ჩურჩულს და ხითხითს განავრძობდა:

— აი, ახლა ვახტანგის ნაკეთში წყალი დაწვდა... ვახტანგმა გაკვირვებით მიიხედ-მოიხედა... აი, ახლა მიხვდა, რომ წყალი დაუწყვიტეს... ბარი მხარზე გაიძო და სათავისკენ წამოვიდა... აი სოფელს გამოსცდა... ახა რას იფიქრებს, თუ წყალი ჩიენ დავუწყვიტეთ და „დღეღაწეში“ დასატული კურდღლეფივით ახლა ჩირგვში ვსხედვართ?..

— ვაი თუ ჩვენც იმ კურდღლეფივით თავს წამოგვადგეს ვინმე, და...

— მოიცა... აი, ახლა ბილიკზე მოდის.. მოიცა-მეთქი აგერ გამოინდა კიდევ... ქუდმოკლეჯილი მორბის!

სიკომ დაბურთული ტოტი გადასწვია და რუს სათავისკენ სწრაფი ნაბიჯით მიმავალი, მხარზე ბარგადებული ვახტანგი დანახა.

ბიჭებმა სული განაბეს და ერთმანეთს მიეკრნენ. სათავეზე მოსულმა ვახტანგმა ისე მიმოიხედა, თითქოს ვცლაცას ეძებდა. ქაცვიანისკენ არც მიუხედავს, ბარი მოიმატა და მუშაობას შეუდგა. წვლებით ამოქონდა სევდი გადავრეხებული ქვები, თავის ადგილას აწყოლა; რუსპირას ყაზირ მიწაზე ბედტს სჭრიდა, ლოსა და ლოსს შუა ნაპარალში ალაგებდა, წყალს ებრძოდა. მალე წყლის ჩხრიალი შეწყდა და რუმ ისევ ძველი გზით იწყო დენა. დაქანცულმა ბიჭმა ოფლი მოიწმინდა, ბარი მხარზე გაიძო და სოფლისკენ გასწია.

ბუჩქნარში მჯდარი თანერები სულგანაბულნი და გაბურთულნი გასკეროდნენ სოფლისკენ მიმავალ ვახტანგს.

თავის ოინთ კმაყოფილი ნიკო მოუთმენლად ელოდა იმ წუთს, როცა ვახტანგი თვალს მიეფარებოდა, თან ნიშნის მოგებით ფრუტუნებდა:

— მაშ რა ეგონა?.. ისერინოს ასე!.. აგერ თვალს მიეფარა... ახლა, ალბათ, ორღობეში შედის... აი, ახლა თავის ნაკეთს უახლოვდება... აი, პირველი ნაკადული გაუგდა კვალში.. ახლა კი ღროა დავუწყვიტოთ...

ნიკო სამალავიდან გამოძვრა, ფრთხილად მიუახლოვდა სათავეს.

სიკო ადგილიდან არ იძვროდა, მოუხენრად იშმუშენებოდა, თავი ჩაეღუნა და დაბღვერილი გაჰყურებდა გახალი-სებულ მეგობარს.

— იჯექი მანდ, ნუ გამოხვალ, ახლავე გადავახეცებ წყალს... — ბუტბუტებდა ნიკო და მძიხე ლოლებს სევდისკენ აგორებდა.

კიდევ გაისმა წყლის ჩხრიალი, კიდევ ჩაითაკვევა რუმ ხევში. კიდევ დაიწრია წყალი სოფლისკენ მიმავალ რუმში.

— რად მიბღვერი, შეილოხან, არ მოგჯონს? ის კი მოგეწონა, შია შიომ კანჭები რომ აგიჭრელა?! ნუ, ნუ გამოხვალ, ერთხელ კიდევ ამოვაჭენოთ ის ვაუბატონი, და...

ბურტყუნებდა ქაცვიანში თავის ადგილას მოკალათებულ ნიკო და ისევ ღმომლით კეცავდა თითებს.



ბიჭებმა სული განაბეს...

— აი, ახლა წამოვიდო... აი, ახლა ორღობეში მივლის. აი... აგერ ეს მივრჩე... შენ დათვალე!

ახლა კი მართლა ჭენებით მორბოდა სათავისკენ ვახტანგი. ოფლის სვეთში გადახდილია სახეზე, პრიალა, დასველებული ომები მუბლზე ჩამოსწეწდა, თვალები დასწითლებოდა.

დაქანცული ბიჭი მამნივე ლოლვებს და ბელტებს მივარდა, აჩქარებით მუშაობდა, თან ოფლს იწმენდა, თან თვალებზე მამდგარ ცრემლებს.

— ოჰ!—ამოვიგინა უნებურად სიკომ და ნიკოს გვერდ-გვერდად, გაჯავრებით გადახედა.

— რა დავემართა? კრინტი ხმა... — ჩაიფრტუნა ნიკომ და ბუჩქნარში მიუყუთო სიკოს ფეხი ფეხზე დააპირა.

— ვერა ხედავ, როგორ ეწვალება? მეცოდება... — სსუ...უ... მერეუ მოდის...

ბიჭებმა სული განაბეს, რუს სათავეს მხარზე ბარგადებული პეღარა კაცი მიუახლოვდა. ვახტანგი მას ვერ ხედავდა... ჭედარა კაცი ღმილით ადევნებდა თვალს, ხმას არ იღებდა, რომ მოულოდნელი დალაპარაკებით არ შეეკრთო მუშაობით გართული ბიჭი.

ვახტანგი ზევით ახედვასაც არ აპირებდა. ჭედარის მოულოდნელად დატყვო. ნაბიჯი გადმოვდა და ბარის პირი ქვაზე დააწვრიოდა. ვახტანგი შეკრთა. ბარის სატერფულზე შედგმული ფეხი გაუჩერდა.

— კობადა კი მუშაობ, ბიჭო, მაგრამ ვეღა რომ გაგივიდა?.. ახლა ქვევით ნაკვეთებისკენ უნდა წავიყუანო წყალი... — წამოიძახა მერეუმი.

— ძია სოლო, — ვედრებით მიმართა ვახტანგმა მოხუცს, — ცოტა უნდა მადროვო, ბატარა ადგილია და მირჩა მოხარწყავი...

— ეგეტ ვიცო და ისიც, დანაშაუვე ვინც არის, — ღმი-

ლით წამოიწყო ძია სოლომ და ვახტანგს მხარზე აღერხიანად დაჰკრა ხელი. ვახტანგი ცნობისმოყვარეობით შეჰყურებდა და მოუთმინლად ელოდა, როდის დაასრულებდა დანაშაუვე რეუ საუბრებს.

მერეუ აქეთ-იქით იმწირებოდა. ერთი ორჯერ ქაცვის ბუჩქებს ისე დასტერდა, თითქმის დანაშაუვე იქ ეგულებოდა.

— ვინ არის დანაშაუვე, ძია სოლო?..

ბუჩქებში განაბულ ბიჭებს ტანში მრუანტელმა დაუარა, თვალები გაუფართოვდა. ნიკო მოუსვენრად აფხვხვდა, უკან-უკან, სწორი ბუჩქნარისკენ მიიწევდა.

სიკომ შეშინებულ ბიძაშვილს მაჯაში სტაცა ხელი.

— მიიცვა, სად მიიპარებო?..

საიფულლო სამლაგვო ისევ დაძაბული სიჩუმე ჩამოვარდა. მცირეხნის შემდეგ ძია სოლოს ხმა შემოსება:

— ვინა და ისევ შენ... წყალს ვერ მოთავრე, ალბათ სათავე კარვად ვერ გაამკვრე და გაგებარა... ახა, ამის მერე რაღა მუშა კაცი ხარ?!

— ძია სოლო, სათავე ისე ამოვქვლი, ისე დავტყურე, რომ წვეთიც არ ხვლიდა, მაგრამ ვიღაცამ დაიწყებია... ალბათ, ქვევით ბოსტნებში მიჰყავდა ვიღაცს... ცოტაც მადროვ; რა, ძია სოლო!

გასაკვივად გამაზადებულმა ნიკომ შევებით ამოიხუნტა, ისევ თავის ადგილს მთიკალთა. სიკო უძრავად იჯდა და სინანულით გასტყურდა ბარზე დაყრდნობილ ვახტანგს.

— რა ვენა, აგრემც რომ იყო, წყალს ვეღარ მოგცემი... თავმჯდომარემ მიბრძანა, რწყვის ვადა ზუსტად დაიცვაო, რომ წყალი ყველა ნაკვეთს გასწვდებო... რაც დავარჩა, იმას ხელთავე გამოწყვი, ყოჩაღი ბიჭი ჩანხარა...

მერეუ სათავისკენ მიბრუნდა და ვახტანგის კარგა ხნის ნაშუგვარა ბარის ერთი დაკვრით დაფუშა. წყალი ქუსლით გადაეშვა ხეზე.

— ნუ, ნუ ძია სოლო... სიმინდი ამომიხმება... ნუ, ძია... გულამოსკვნით იმეორება ვახტანგი და ხევახევი მიმავალ მერეუს თვალცრემლიანი გაჰყურებდა.

...სუცებ ნიკომ გვერდში მაგარი მუჯალუგუნო იგრძნო, ისეთი მაგარი და მტკივნეული, რომ კინაღამ შეპიკვდა. სწრაფად მიიხედა და სიკოს გაცეცხლებულ თვალებს წაწყდა. სიკოს მუშებით დაემგვინა, მისიხნელ ქონივდა და სახე ისე მიიახლოვებინა თავისი ბიძაშვილისათვის, თითქმის შუბლზე შუბლის მიჯახებას უპირებო.

— მაცალე, შენთვისაც მოვიცილო, — გაბრაზებით ჩაიღუღუნა ნიკომ და ისევ ვახტანგს გახედა.

მწარე ფუჩქებში გართულმა ვახტანგმა სული სინანულით ჩაიჭინა, ცრემლი მოიწმინდა, ბარი მხარზე გაიღო და მოწყვეტილი ნაბიჯით სოფლისკენ მიმავალ ბილიკს დაადა. მალე სოფლის ორღობეში შეუხვია და თვალს მიეფარა.


სამალავინდ ჯერ ნიკომ გამოაბოტა. გრძელი, დიდხანს მუხლმორხით ჯდომისაგან დაბუებული ფეხები ძლივს გამართა, ტანსაცმელი უგულოდ შეიბერტყა. დაბვეერილი და ნაწყენი ელოდა სიკოს გამოიხნას. მალე ბუჩქნარიდან სიკოც გამოვლოხდა. მას ნიკოსთვის არც კი შეუჩივდა, ისე დააპირა სოფლისკენ წახება, მაგრამ ნიკო წინ გადაუდგა, მაჯაში ხელი სტაცა და თავისკენ ძალით მიიბრუნა.

— მიიცვა... — თავი დამანებე... თავი დამანებე, გზაზე ნუ მტხირები... — ჯიუტად ბურტყუნებდა სიკო და ხელის განათავისუფლებას ცდილობდა.

— არა, ერთი მიბრძანე, ყმაწვილო, რა ამბავში იყავი, რამ ავაწრიალა, ის მუჯალუგუნო რაღა იყო? — დაცნობით შეეკითხა ნიკო.



ვახტანგი აჩქარებით მუშაობდა.



გულაღმა დანარცხებული ნიკო...

სიკო ხმას არ იღებდა, მთელი სხეულით ცხცახებდა, კედლის ძარღვები დასკიმოდა, ძირს დაშვებული თვალები საოცრად უღელავდა.

— ხომ არ გინდა ავაბურთაო?.. ხომ არ გინდა?!

დამამცირებელი, გამომწვევი კითხვა უხასუსოდ რჩებოდა, სიკოს ხმის ამოღება უჭირდა; თვალწინ დაქანცული, გაწვალტებული, ცრემლოვრეული ვახტანგი უღდა; გრძნობდა, სიტყვას დასძარავდა თუ არა, ცრემლი წასკვდებოდა, მოწოლილი ბოლმა ნიაღვარივით გადამხეთქავდა...

— ხმა ამოიღე, გუუჯაბ, გინდა თუ არა ავაბურთაო?! — ერთბაშად კედელ ჩასახსნა ნიკომ, რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია და გამომწვევად შეათვალიერა თავმალღუნული ბიძაშვილი.

სიკოს ხმა არ ამოუღია, არც თავი აუწვევია მაღლა... ისევე, დაბღვერილი და საბრძოლველად გამზაღებული მოხვედრით თავგახრილი გაქცა ნიკოსკენ.

— ყოჩაღ, ქიწქლავა...

ეტყობოდა, კედელ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ამის წამოახებდა მოასწრო ნიკომ და უცებ ხმა ჩაუწყდა, მკერდს ქვემოთ რაღაც მაგარი ისეთი ძალით მიეჯახა, რომ უკან გადააყირავა...

გულაღმა დანარცხებული ნიკო, სანამ წამოდგებოდა, იმაზე ფიქრობდა, თუ რა იყო ის მაგარი რაღაც: მუსტი თუ მისი გუუჯაბ მოწინააღმდეგის სულთაღ მოხობტრილი თავი... ვერ გადაიწყვიტა, მუსტივით დახვედროდა სიკოს თუ გაშლილი მკლავებით.

მაგრამ სიკო არც ჭილაბობას აპირებდა, არც ჩხუბს, არც ნიკოს უფციარი დამარცხება აპირებდა, შუბლშეკრული და თავჩაღუნული კვლავ მოწყენილი იდგა.

ახლა ხმას აღარც ნიკო იღებდა, ხელები წინ გაეშვია, თავი უკან გადაიქნია, ფრთხილად მიიწევდა სიკოსკენ და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ მოეგონება კისერი მისთვის.

მაგრამ სიკოს მოკლე კისერი მიწაში ჩარჩენილი მოარივით მაგარი და დაუმორჩილებელი აღმოჩნდა... ამაოდ ეკვავებოდა ბოლმა ამ ოფლში დახვედრებულ მოლობულ მორს გაცოფებუ-

ლი ნიკო; ხან მარცხნივ გადასწევდა, ხან მარჯვნივ, ხელი უხსლტებოდა, ადგილიდან ვერ სძრავდა. ასლა მკერდზე მიავა, უნდოდა უკან გადაეჩინა, მაგრამ უცებ სიკო ხელიდან გაუსხლტა და სწრაფად ფეხებთან ჩაუწვა. მთელის ღონით მიწაზემოხდა ნიკო ყირაბმა გადატრიალდა. ფეხები შაერსი გაასავსავა და ისევ გულაღმა დაცა...

— გეუფა... — წამოიხახსა სიკომ, როცა ნიკო წამოხტა და სახეაწითლებული ხელშეორედ მისკენ გამოეშურა.

— იქნებ გვანია წამაქციე... ორივე ბეჭი არ დამიკრავს... აი, ნახე... — ბურტყუნებდა გაბრაზებული ნიკო და თვალს ვერ უწოტებდა ბიძაშვილს.

ისევ უსიტყვოდ ეკვივნენ ერთმანეთს.

პაპანაქება სიცეხში ყველაფერი მინახულიყო. ჩიტების ქიკიკი, ბაყაყების ყყყინი მიმწუდარიყო. ფოთლის შრიალიც კი არ ისმოდა. მხოლოდ დაბლა გადახვეებული ნაკადლის ჩხრიალი და მოჭიდავე ბიძაშვილების დაღლილი კშუნა არღვევდა მყუდროებას.

— იქნებ გვანია, წამაქციე... იქნებ გვანია... — ჩურჩულით იმეორებდა ამ აკვიტებულ სიტყვებს ღონეგამოღებული ნიკო და გამწარებით იბრძოდა. გრძნობდა, რომ ეს მესხამე და უკანასკნელი შეჯახება იყო. ეს შეტაკება გადაწყვეტდა სოფლის ბიჭებში პირველობის ბელს.

გათამამებული ნიკო თანდათან უძვრებოდა წელში, ბლუჯავდა და მაღლა ეწეოდა ნიკოს. ნიკოს გრძელი ფეხებით თანდათან ასცილდა მიწას, მერე შაერსი შექანდა, შევიამაშა და დტრიალდა.

უცებ ნიკომ ბეჭებში, შიშვებულ წელს ზემოთ, კისერშიც კი ეკლის მწვავე ჩხვლეტა იგრძნო, გამწარებით შეტყვილა, წამით თვლი დახტუა და სწორედ იმ ქავეის ბურქებში გადავარდა, საიდანაც ამ რამდენიმე წუთის წინ ღმილით გასცქეროდა რუს სათავისკენ ქაჭანი მომავალ ვახტანგს...

* * *

მშვენიერად იყო გადახრილი. ჩრდილები გრძელდებოდნენ. ხეობიდან დაბერილი სიო არხვედა პაპანაქება სიციხისგან მიუჭრებულ კაკლის ხეებს, აცოცხლებდა თავნაქინდრულ სიმინდებს.

მასწავლებელი

სიკო და ვახტანგი ღიბო კაკლისის ქვეშ გზისპირას ის-
დნენ და გზაჯვარედინს ვახტანგიღიბო. გზაჯვარედინთან გზა
ორად იყოფოდა, ერთი სოფლისაკენ მიდიოდა, მეორე კი
მინდვრისკენ უხვიდა. სწორედ იმ მინდვრისკენ, სადაც
დიდოს ვახტანგი სიმინდს რწყავდა.

ბიჭები მოუთმენლად ელოდნენ. ხან ერთი წამოდგებოდა,
ხელს მიიჩრდილებდა და რუს საფეხისკენ დაკვირვებით გა-
ისხედავდა, ხან მეორე.

— ძა შინს უთხარი? — შეეკითხა ვახტანგი დაუჭირებით
მგდარ სიკოს და ერთხელ კიდევ გაიხედა გზაჯვარედინისკენ.

— ვუთხარი... ყველაფერი იცხოს... გვაპაბა... ჩემი გეგმაც
მოიწონა... სახედავო თვითონ შეუკაშმა... ძალით შესვა ურ-
მის კოლოფს... — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისროდა სიკო და თვალს
ვერ უხწურებდა ვახტანგს. ვახტანგი გულისყურით უსმენდა.

— ძა შიო კეთილი კაცია... მაშინვე დამეთანხმა, მე შინ
დარჩენა მიზრძანა... ნიკო კი, აი, ენახათ, რას იზამს... ბურ-
ტყუნებდა, მეშურებოდა...

ლაპარაკი ურმის სრვიანმა წაუწყვეტინა სიკოს. ბიჭები
სმენად იქცნენ, გზაჯვარედინს მაიჩრდნენ. გერ ურემი არ
ჩანდა, მხოლოდ ურმის ხმაური ისმოდა, ბიჭების გულზე
ბაგა-ბუფი გაჰქონდა.

აღმართში გერ ნიკოს წოწოდა თავი გამოინდა, მერე
ბარტყუნას ჩაღისფერი ყურები. ნიკო წინ მიუძღოდა სახე-
დარს, აღვირი ხელში ჩაებლუჯა და თავჩაღუნული მთაბო-
ტებდა.

ვახტანგი და სიკო კაკლის უზარმაზარ ძირს მოეფარნენ,
მიიყუვნენ. ცალი თვალი მანც გზაჯვარედინისკენ ეპირათ.

ურემი გზაჯვარედინზე შეჩერდა, ნიკომ სოფლის გზას
გამოხედა, ეტყობოდა ყოყმანობდა, ვერ გადაეწყვეტა გზა
განეგრძო, თუ სიმინდის ყანებისკენ გადაეხვიდა...

— თუ არ გადაუხვია, არ ვიცი რას ვიზამ... — ფრთხილად
უწურჩულა სიკომ ვახტანგს. ვახტანგიც ღელავდა, გაუცვივ-
ბით ვახტანგი გზაჯვარედინზე სანისწო სვეტივით გაჩე-
რებულ ნიკოს.

ნიკომ ახლა ქვევით გაიხედა, ხელი ჩაიჭნია, ქურღულად
მმოხობდა, ერთი ნახტომით ურმის კოფოზე გაინდა და სახე-
დარი სიმინდის ნაკვეთებისკენ მიაბრუნა. ურემი გრიალ-
გრიალით დაეშვა თავქვე.

— არის — აღტაცებით წამოიძახა სიკომ და ვახტანგს მე-
გობრული მუჯღღუფანი უთავაზა. — ჩემმა წამალმა გასტრა,
საღამომდე შენი ნაკვეთის მორწყვა დამთავრებული იქნება!

— მერე ჩვენ ასე გულხედავარეფილი სომ არ უნდა ვი-
სხედო... მივეშველოთ!

— არა... გერ არა... ძა შიომ ასე დამარიგა... რამდენიმე
გზა წყალს რომ ჩამოიტანს, მერე მივეშველოთ! ხომ კარგია, მა?
ვახტანგმა ქვევით მინდვრისკენ გაიხედა. ურემს თავქვე
ჩაეფლო, გაეცეკებინა. სახედავო დინჯად მიიწეოდა და სიმინ-
დის ნაკვეთს უახლოვდებოდა.

ნიკო მხრებში მოხრილი და თავჩაღუნული იჯდა კოფოზე.

დავამ ამ ქვეყნად მისი მქებელი.
ცოდნის წყურვილით გულს კვლავ ახურებს,
ჩემი ქალბრა მასწავლებელი,
ჩემი ნამდვილი მოჭირანსულე.

ჩვეულ ნაბიჯით ქუჩას გადიარს,
თმაში თოვლი და ვერცხლი ციმციმებს.
აი, შეხედეთ ამ ადამიანს,
არც დასტობია წლების სიმძიმე.

გზაზე ნაცნობი ხელება მრავალი,
მისი გარდღილიც მრავლად არიან.
ახალგაზრდული გულით მავალი
დაღის ჩვენს შორის და უზარია.

კეთილ ღიმილით ვიციან, მახარებს,
მასწავლებელი ჩემი ცხოვრების.
ეხედავ, მხედავს და თავი დავებარე,
აღმზრდელს აღზრდილიც ვემასსობებო.

ეხედავ, ხელებიან თვალებს თვალები,
მისი ნათელი უფულოც ვიცანი.
ქელს მოვიხიდი და მივესალმე
და გამიღიმებს დაუფიწყარი...

და გამიღიმებს კვლავ მამასავით,
მისთვის ბავშვი ვარ ისევ პატარა,
ისევ მზრუნველი მზრდნის და მასწავლის,
მტრის სიძულვილს და მოძმის გატანას.


გულს რომ ჩაღვროდა უღვა სიხარულით,
მისი უზარლო სიტყვაც კმაროდა.
მან შემაყვარა ტკბილი მამული,
მზრდიდა, მივლიდა და დამხაროდა.


დავიწყებია ხშირად ძილიც კი,
შეც გაუფაროლე მამას შვილობა.
მუდამ, ყოველთვის მამსოსს იმისი
შრომა, ამაკი და გარჯილობა.

ჩვეულ ნაბიჯით ქუჩას გადიარს,
ისევ მშვილია, ისევ წყნარია.
ვამობ: შეხედეთ ამ ადამიანს,
ჩემი ბავშვობა რომ აბარია.

აი, სიციცლის მუდამ მქებელი,
ცოდნის წყურვილით გულს რომ ახურებს,
ჩემი კეთილი მასწავლებელი,
ჩემი ნამდვილი მოჭირანსულე..

სასილ გვეგაძე





გ ა ვ შ ვ მ ბ ა

ითამაშეთ, ყმაწვილებო, თავისუფლად იზარდებით.
ამისათვის გაქვთ ლამაზი ბავშვობა თქვენ მოცემული.
ნ. ნეკრასოვი.

1

ეს მოხდა ძველად. იყო ერთი მიყრუებული, გასაწყველებული სმოლენსკის მხარე... ჩემთან მოვიდა გაზაფხულზე გაღიმებული ჩემი ბავშვობა იქ—სოფელს გარეთ.

მოვიდა, მითხრა: «ყმაწვილები, შენი სწორები, ტბასთან შეყრილან დილიდანავე. შენ კი დამჯდარხარ ობოლივით აქ მოშორებით, ადექ, წამოდი, შენც იხანავე.

ნულთ არ გინდა, მათში იყო შენც გარეული? ტივები შეგკრათ — აი, ხელობა! ნაკადულს თავზე გაღმობეველით გამოქცეული, მინდვრად გაუმართოთ რიკ-ტაფელბა.

რა მუხებია! რა მაღალა არეი აპირილი! მოგკრათ ჯიშინი, შეეასხდეთ მორებს!» — როგორ არ მინდა,—გეუბნები მე თავდახრილი,— მაგრამ, ხომ ხედავ, ვუღებეარ ღორებს.

მოუსვენარი ჯიში არის, წუწკი ძალიან, ისე რომ წუთსაც არ უნდა ვთვლემდე. შენთან სარბენად, თავად ხედავ, სადა მცალიან,— გამოიარე როგორმე შემდეგ.

2

აი, მოვიდა, ცელავ მოვიდა მაღლაში, ჩქარი, ჩემი ბავშვობა ივლისის თვეში. «ისეც მარტო ხარ,—მეუბნება ღობესთან მდგარი,— გავისეირნოთ, წავიღეთ ტყეში.

ალბათ არ იცი, რა ქოლოა დამწყვებელი, ან რამდენია მაცვალი შავი! არ გაგივია, რომ ანტესზე წამოგებულნი, ბიჭებმა გუშინ ხელთ იგდეს დღავი?»



«—ვიცი,—გუთხარი და თავი ძირს დაგხარე ნელა,— მაგრამ წამოსვლა არ შემძლია. სახსლა ვიდარაჯობ; სამუშაოდ წავიდა ყველა; ეუროდან ფეხი ვერ მომიცვლია.

ძმა მყავს ორი წლის და მას უნდა ვადევნო თვალი, ჯერ არაფერი არ გაეგება. გუბებია,—რომ ჩავადგეს, დაახრჩობს ყვალნი, ან რქა ამოჰკრას ხარმა ეგება.

თანაც ქათმები ამ ჩვენს ბოსტანს ეტანებიან, კიტრებს ჰკორტინან—მოვიღო ჯარია! გავრეკავ ჯიშით, თითქოს მოარა, მიწუნარდებიან, გადავიხედავ—შიგვე არიან...»

ასე ვუსწინიდი ნაღვლიანად, საქმიან ენით, რომ არ შემეძლო მე თამაშობა. ასწია მაღლა თეთრი წვეკბა, მომხედა წყვინით და კვლავ წავიდა ჩემი ბავშვობა.

3

ჩვენს გაუხარებელ ქოშში იგი ისევ მოვიდა შამიარში, როცა ჰყინავდა მწარედ. მომიასხოვედა და მსურვალე ხელი მომიკიდა, მითხრა: «ადექი, გავიღეთ გარეთ.

შინ რომ დამჯდარხარ, ნიშანია სიზარმაცისა, უნდა გაინძრე—არა ხარ ლოდი. ჩვენ შეგვიძლიან გაქეთება თოვლის კაცისა, ან ვიკოჭაოთ ყინულზე, მიოდი.

თუ მოისურვებ, მარხილებით დაგქანდეთ მთიდან, დავცხოთ ნეგობრებს თოვლის გუნდები...» — ეს ყველაფერი,—გუბასუბე,—ძალიან მინდა, მაგრამ მიზორაკვს ფეხებს ხუნდები.

დაგვიწყებია, რომ არ არის ასლა ზავხული. გარეთ გამოსვლა ჩემთვის ძნელია: მე ტანსაცმელი არც ტანზე მაქვს, არც შენახული; თანაც ბური მთლად გამოგვევლია.

სუბოს გაზაფხულზე.—შეგებეწე გაუბედავად.— მაშინ ხომ თხელი პერანავც კმარა...— შემომამჩერდა, გამიჩუმდა, არ შემიდგავა, ამოიოხრა და ქოხიდან გავიდა წყნარად.

წავიდა, გაქრა, არ მინახავს მას შემდეგ თვალით, გამოვლილი კი ბევრი წლებია... ეს როდის იყო? ან ხსოვნაში წაშლილა კვალი, ან ეგებ ძილში დამსხმრებია.

თარგმნა კონსტანტინე ზიჰინაქიძე.



გოლომე ქოჩია

ნახ. კ. მახარაძისა

ქედონებელი

(ნამგვილი აბაზი სამოქალაქო ომიდან)

1.

ცივი დღე იყო. მზე ძლივს მოჩანდა მრღუმელ ცაზე. ყინვა იკონებოდა და აწითლებდა ყურებს.

სტანიცის სამმართველოს წინ ხალხი შეკრებილიყო. სმა იყო დარხებული: ტყვე წითელარმიელები მოიყვანეს, მათ შორის ჩვენს მასწავლებლებიც ურევიათ. მოწაფეებს უნდოდათ თავისი მასწავლებელი დაენახათ და წინა რიგებში დამდგარიყვნენ. თუმცა მიადანია ხალხით იყო სახვე, სმაურობა არ იმყოფდა — ან დუმდნენ, ან ჩურჩულებდნენ.

— მეთერთმეტე წითელ არმიას ასტრახანისკენ დაუხვია. ნაწილი სტავროპოლისკენ წახლდა. დიდი ბრძოლებია სტავროპოლთან, ნევიკასთან... ტყვეებს აწაშებენ, ხოცავენ... ჩვენი მასწავლებელი ისე გამხდარა, — ძლივს იცნობ... ძაღლებია ეს თეთრები. არ ინდობენ არავის. მასწავლებელი უცემიათ...

ცხრაას თვრამეტი წელი იყო. მეოთხე რუსეთი გაუფილი იყო ორ ბანაკად: წითლებად და თეთრებად. ბოხოქრობდა შეურიგებელი, დაუნდობელი სამოქალაქო ომი. ამ ომში ჩაება სტანიცა ბოლშევიკების ოთხწლიანი მასწავლებელი ტატია-ნა სოლომასაც. როცა წითლებმა სტანიცა დატოვეს; ისიც გაჰყვა მათ. ტატია-ნა იყო კომისარი, იბრძოდა გვირუდღე, ერთ-ერთ ბრძოლაში ტყვედ ჩაგარდა. ის ჩამოიყვანეს თავის სტანიცაში, რომ აქ გაესაპართლებინათ...

— გამოიყვანეთ კომისარი უთხრას ხალხს, რას ასწავლიდა ბავშვებს — გაისმა ატამანის ხმა.

გამოიყვანეს განძღარი, ლოყებმაცვიფნული, თმაშეკრებილი ქალი. ხალხში დრტვივა გაისმა. მოწაფეები აიოჩქოლდნენ, შექუჩდნენ. ყველას ასხოვდა თუ როგორი იყო ამ რამდენიმე თვის წინათ მასწავლებელი. მაღალი, ღამაზი, ფაქი-

ვი სახისა, ქერა, ხუჭუთმიანი. მუდამ ღიმილი დასთამაშებდა ტუჩებზე და უცინოდა დიდრონი თვალები.

მასწავლებელს უყვარდა ღამაზი უკრაინული ტანისამოხის ჩაცმა. მეგრულე მძივები ჰქონდა ასხმული და ხუჭუტა თმები ბავთით გადაკრული. ახლა კი დაფლეთილი კაბა ეცვა და გულსპირზე მხოლოდ ერთი ღილი შერჩენოდა, ისიც — მომტვრეული.

რამდენიმე წუთმა სიჩუმეში გაწვლი. ატამანი სქელ და აპრეხილ უღვაშებზე ხელს ისვამდა და უყურებდა ხალხს. მას თავისი ანგარიში ჰქონდა: სურდა ღამაზი მასწავლებლის ახლანდელ გარეგნობას შიშო გამოეწვია ხალხში. ქალებმა ცრემლი შეიმშრალეს, ატირდნენ ბავშვები. მასწავლებელმა დაინახა ცრემლები და წელში გასწორდა. როგორც წინათ იცოდა სოლმე, ისე გაუღიმა ბავშვებს და ხელი მაღლა ასწია.

ამ ღიმილმა სიხარულის ზარივით ჩამოჰკრა ბავშვების გულში, დაიკარგა შიშო და ბავშვებმაც ასწიეს მარჯვენა ხელი. ასე ესალმებოდნენ ერთმანეთს სკოლაში მასწავლებლები და მოწაფეები.

— რატომ არაფერს ამბობ, კომისარო? — დაცინვით ჰკითხა მასწავლებელს ატამანი. — არ ეტყვი ამ ხალხს, თუ რატომ ხარ ასეთი გამხდარი? ვერ გაჰპაქს პური მშვიდმა ბოლშევიკებმა?

მასწავლებელი დუმდა.

— უთხარი ხალხს რას ასწავლიდი ჩვენს ბავშვებს მდღერბისა და ღარბების გათანასწორობას? პურის ჩამორთმევას? ძარცვა-გლეჯვას? — განავრძობდა ატამანი. — კოზლიოუკ, ჰკითხე კომისარს, სად არის შენი პური?

კოზლიოუკი იყო კულაკი, რომელსაც მასწავლებელმა კომისარად ყოფინისა პური ჩამოართვა. კოზლიოუკი ფაცხვარი-

კით მიახტა მასწავლებელს, შეკუმშა მუშტი და სრინწიანი ხმით მკითხა:

— სად არის ჩემი ბური? შენს მანწაწალებს დაურიგე? ოჰ, შენ!..

და კოწლიუკმა მაგრად მოქნეული მუშტი ვაგრტყა მასწავლებელს. მასწავლებელი წაიქცა. მ.შინ მიცვივდნენ მასწავლებელს კაწაკები და დაუჭუნეს ცემა. ცემდნენ ზუმბით. ცემდნენ გააფურები, მაგრამ მასწავლებელს ერთი კვნესა არ აღმოხდენია.

— მე შენ აჯყირებ, ახპიტო, შენა! — ყვიროდა ატიმანი. ბოლოს, როცა ვერ ვასტრა ცემა, მასწავლებელი აყენეს. მან თვითა მოავლო ხალხს, მიუბრუნდა ატამანს და ცივ სიჩუმეში გაიხსა ათროლოებული ხმა:

— თქვე შეგიძლიათ ცემეთ მე... მომკლათ... მაგრამ ლენინის საქმეს ვერ მოჰკლათ... საბჭოებს ვერ დაამარცხებთ! საბჭოები ისევ დაბრუნდებიან!

2.

სამ კვირას ვაგრძელდა მასწავლებლის წამება. გამოიყვანდნენ მოედანზე, შეყრიდნენ ხალხს, ცემდნენ ზუმბით. ცემდნენ გააფურებით. ატამანს უნდოდა, რომ ეტირა მასწავლებელს. ეკივლა, ეთხოვა პატივმა. მაგრამ მასწავლებელი დუმლით იტანდა წამებას. ამ დუმლით ის ებრძოდა ჯალათებს და ასწავლავდა ხალხს, თუ როგორ უნდა გამკლავება მტერს.

— თქვი უარი საბჭოებზე, გვემსახურე ჩვენ და გაპატიებთ! ისე ერთია წითელი არმია გაიქცა, აღარ დაბრუნდება! — ეუბნებოდა მას ატამანი.

— დაბრუნდებიან საბჭოები! მომავალი ჩვენია, აი, ამათი! — უპასუხებდა მასწავლებელი და ხელს გაიშვრდა მოწაფეებისაკენ. და მოწაფეებიც ასწევდნენ ხელს.

ერთხელ, როცა ნაცუმი და გასახილანიებული მასწავლებელი ფეხზე წამოაყენეს მან ასე მიმართა მოწაფეებს:

— ძვირფასებო, ჩემო მოწაფეებო, გაიზარდეთ ისეთნი, რომ იყვნეთ ღირსნი ლენინის საქმისა! უკვით ბეჯითი, გულადნი, მშრომელნი და დაიცავით ოქტომბრის რევოლუცია!

მასწავლებელმა ასწია ხელი. მოწაფეებმა უხმოდ ასწიეს ხელი.

— მე შენ გიჩვენებ ოქტომბრის რევოლუციას! — დაუყვირა ატამანმა. — სწორედ შეიძ ნოემბერს მოვიღებო ბოლოს!

მართლაც, შეიძ ნოემბერს, დილით ადრე, მასწავლებელი გამოიყვანეს ციხიდან და წაიყვანეს სტანიცის გარეთ.

ამბობენ, ციხიდან გახვლისას მასწავლებელი მიუბრუნდა ტყვე წითელარმიელებს და ასე გამოემშვიდობა:

— მშვიდობით, ამანაგებო, გწამდეთ, ჩვენი სისხლი ტყუილ-უბრალოდ არ დაიკარგება! არ შედრკეთი არ თოვლით მტერს პატივს! საბჭოთა ხელისუფლება გაიმარჯვებს!..

ამბობენ, სიკვდილის წინ ატამანმა კვლავ შესთავაზა მასწავლებელს: უარყავი ლენინი, დაგკმე ოქტომბრის რევოლუცია და გაპატიებო, მაგრამ მასწავლებელმა უპასუხა:

— მე პატივებს არ ვიხოვჯი ლენინის საქმეს არ ვფლადობებ...

მას მოსჭრეს ხელები, ფეხები, ბოლოს თოვლიან მიწაზე გაგორდა მისი ლამაზი, თმახუჭუხა თავი.

ხალხი არ მიუშვეს მის დასაკრძლავად. მაშინ მოწაფეებმა შეღამებისას გაბედეს: შეაგროვეს აჩხილი მასწავლებელი და დაკრძალეს.

ამბობრტულ საფლავზე ერთხელ კიდევ ასწიეს ხელები მოწაფეებმა და შეჰფიცეს, რომ საყვარელი მასწავლებლის ღარივებს არ დაივიწყებდნენ.


პიონერ ვასილ ბუჩიძეს პრექვი

კავშირული
საბჭოთა

უკრაინის სს რესპუბლიკის მთავრობამ, უკრაინის რუსეთთან შეერთების 300 წლის-თავთან დაკავშირებით, დაადგინა: აიგოს ქ. კიევიში ორი მოძმე ხალხის და ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის აღსანიშნავად, ტრიუმფალური თალი. საუკეთესო პროექტის შესარჩევად გამოცხადდა კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა არქიტექტორებმა, სტუდენტებმა და მოსწავლეებმა.

კონკურსის ყიურის ყურადღება მიიპყრო ლანჩხუთელი პიონერის, მეექვსე კლასელ ვასილ ბუჩიძეს პროექტმა. სადა, გემოვნებით შესრულებულმა პროექტმა მოწონება დაიმსახურა. მას წამახალი სიხელი პრემია და ფულადი ჯილდო მიენიჭა.

ბეჯითი სწავლითა და თავის თავზე დაულალავი მუშაობით ვ. ბუჩიძელმა მომავალში შესძლებს ჩვენი ქვეყნის მოწინავე მშენებელთა რიგებში ჩადგეს.





ვეკ ლონღონი

ნახ. კ. მახარაძისა

თქველება კიჳზე

4595

დიდი ხნის წინათ პოლარული წვილის ნაპირის ცხოვრობდა კიჳი. მრავალი ბედნიერი წლის განმავლობაში იგი თავის სოფელს სათავეში ედგა და, როცა მოკვდა, მისი დიდებით მოხილი სახელი ყველას პირზე ეცერა. იმდენად დიდი ხნის წინ ცხოვრობდა კიჳი, რომ მისი სახელი მხოლოდ მოხუცებს-ლა ასსოვდათ. მის შესახებ შექმნილი თქმულებები თაობიდან თაობაში გადადიოდა — სიცოცხლის დასასრულამდე უამაობენ მოხუცები კიჳზე თავიანთ შვილებსა და შვილიშვილებს.

ზამთრის ბნელ საღამოს, როდესაც ჩრდილოეთის ქარი მარადიულ ყინულზე დაჰქრის, როდესაც ზაფერი თეთრი მოფარფარებ ფიქვებითაა სავსე და როდესაც კაცი გარეთ ვასვლას ვერ ბედავს, სასიამოვნოა აზბის მოსმენა იმის შესახებ, თუ როგორ ჩაუდგა სათავეში თავის ტომს კიჳი — კიჳი, რომელიც ყველაზე ღარიბ იგლუში *) დაიბადა.

როგორც თქმულება გადმოგვცემს, კიჳი მოხერხებული, მსნე და ლონიერი ბავშვი იყო. მან მზე უკვე ცამეტჯერ ნახა — ჩრდილოეთში დროს ასე ანგარიშობენ, რადგან მზე ყოველ ზამთარს ჩრდილოეთის მიწას სიბნელეში ტრავებს და ბრუნდება მხოლოდ მომავალ წელიწადს, რათა აღამაინებო გათბუნენ და ერთმანეთს სახეში შეხედონ.

კიჳის მამა გულადი ვაჟკაცი იყო. იგი ჩრდილოეთის უზარმაზარ დათვან შებრძოლების დროს დიდიუა. სოფელი მიმშლილობდა. მას თავისი ხალხის სიცოცხლის გადარჩენა უნდოდა და დათვეზე სანადიროდ წავიდა. ხელნართული ბრძოლა გაიმართა. კიჳის მამა თავგამოდებით იბრძოდა, მაგრამ ბრძოლაში მას ძველები ჩაეღერა. დათვი კი ისეთი ხორცმრავალი აღმოჩნდა, რომ ხალხი სიკვდილს გადაურჩა. კიჳი მისი ერთადერთი შვილი იყო და მამის სიკვდილის შემდეგ იგი მარტო ცხოვრობდა დედასთან ერთად.

მაგრამ ხალხს დავიწყება სწყევია. დავიწყებს მალე კიჳის მამის ამაგიც, კიჳიც და მისი დედაც, რადგან კიჳი ბავშვი

იყო, დედა კი — ქალი. დედა-შვილი სოფლის ყველაზე ღარიბ იგლუში ცხოვრობდა.

ერთ ღამეს ტომის ბელადის კლემ-კვანის დიდ იგლუში გამართულ ბჭობაზე კიჳმა თავისი მგზნებარე და ვფუკაციური სული გამოავლინა. იგი მოწიფული კაცის ღირსებით წამოდგა ფეხზე, კვანის შეწყვეტას დაუცადა და სიჩუმის დამყარების შემდეგ განაცხადა:

— თუმცა მე და დეაჩემს ჩვენს წილ ხორცს ვვამცდეთ, მაგრამ ეს ხორცი თითქმის ყოველთვის ძველია და მაგარი, თან მასში ძალზე ბევრი ძველია.

მოხუცი და ახალგაზრდა გამოცდილი მონადირეები განცვივრებაში მოვიდნენ. მსგავსი არაფერი სმენოლათ აქამდე. ბავშვი მოზრდილი კაცივით, თამამად, პირში ეუბნებოდათ სრულ სიმაართლეს და კვლავ მტკიცედ განაგრძობდა:


— მე ამათ იმითომ ვუბნებოთ, რომ ვიცო, მამაჩემი ბოკი გამოცდილი მონადირე იყო. ამბობენ, რომ მას გაცილებით მეტი ნაწადირეე მოჰქონდა სახლში, ვიდრე ორ საუკეთესო მონადირეს ერთად; თავისი ხელით ყოფდა ნაწადირევს და თვალყურს ადევნებდა, რომ სოფლის ყველაზე დაბაც ქალსა და მამაკაცს თავისი კუთვნილი წილი მიეღო.

— ბოკოს ბოკოს — შეუწყვრის მონადირეებმა. — გააგდეთ ბავშვი აქედან, დასაძინებლად გაგზავნეთ! იგი ჯერ არ მოყრილია იმ ხნამდე, რომ ამგვარად ილაპარაკოს ვფუკაცებსა და ჭალარა მოხუცებს.

კიჳი მშვიდლად უცდიდა სიჩუმის დამყარებას.

— შენ ცოლი გყავს, უგ-ბლუკ, და მის მაგივრად შენ ლაპარაკობ. შენ, მას-უკ ცოლი და დედა გყავს, და მათ მაგიერ შენ უნდა ილაპარაკო. დედაჩემს კი ჩემს მეტი არაფერი შეყავს, ამიტომ მის მაგიერ მე ვამბობ. როგორც ვთქვი, ბოკი მოკვდა, მაგრამ ის მოკვდა ნადირობისის; ამიტომ მე — მის შვილს, და აიკვას — მის ცოლს, საკმარისი ხორცი უნდა გქონდეს მანამდე, სანამ ჩვენს ტომს ხორცი არ გამოეღვევა. ამას ბოკის შვილი — კიჳი ამბობს.

*) იგლუ — ინდური კარავი.



მხარზე კი მამამისის უზარმაზარი შუბი ჰქონდა გაფეხული. ამ ამავმა ხალხში სიცოილი და მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ეს არაჩვეულებრივი შემთხვევა იყო სოფელში. მისე ახაიხა ბიჭები სანადიროდ არასოდეს წახულან, და ისიც მართლაც მამაკაცები თავს აქნედნენ და რაღაცა წინასწარმეტყველებდნენ, ქალები კი ხიზარულით უყურებდნენ აიკვას დაფიქრებულ, სევდიან სახეს.

— მაღე დაბრუნდება,—ამხნეებდნენ ისინი აიკვას.

— დე, წავიდეს!—ამბობდნენ მონადირეები. — მაღე დაბრუნდება და მომავალში უწყინარი და თავჯიანი იქნება.

გავიდა ერთი დღე, ორი დღე, მესამე დღეს მჭინვარე ქარიშხალი ამოვარდა. კიში კი არსად ჩანდა. აიკვა თავზე ომის იგლეჯდა და მწუხარების ნიშნად სახეზე სელაბის ქონის მურს ისეამდა. ქალები ღანძვდნენ მამაკაცებს იმის გამო, რომ ისინი უხეშად მოექცნენ ბავშვს და სასიკვდილოდ გაისტუმრეს. მამაკაცები ღუმედნენ და ემზადებოდნენ—გვამის საძებნელად წასვლას აპირებდნენ, როგორც კი ქარიშხალი ჩადგებოდა.

მეორე დღეს, დილადრიანად, კიში სოფელში შემოვიდა. შერცხვილი არ დაბრუნებულა მხარზე ნანადირევი ჰქონდა გაღებული. მის ხიარულში მედიდურება ჩანდა. ღაპარაკში კი—ქედმადლობა.

— შეი, თქვენ, მამაკაცებო, ძალღობთ და მარხილებით გაჟვეით ჩემს კვალს და აქედან ერთი დღის სავალზე აუარებელი ხორცი შეგხვდებათ—ძუ დათვის ორი ბელით.

აიკვა სიხარულისაგან ცას სწვდებოდა. კიშმა თავშეკავებულად, ვაჟკაცივით მიიღო მისი აფერის და უთხრა:

— მოდი, აიკვა, ვტამოთ რამე, რომ მერე დავწვე და კარგად გამოვიძინო, ძალიან დავიღალე.

იგი იგლუში შევიდა, კარგად დანაყრდა და ოცი საათის განმავლობაში ეძინა.

კიშის ამავმა თავდაბრუნებულად ხალხში ექვი დაბადა და მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ჩრდილოეთის დათვის მოკვლა ძალიან სახვთაოა, მით უფრო—ძუ დათვისა, რომელსაც ბელები უნდა. მონადირეებს ვერ დაეგვიტრინათ, რომ მატარა ბიჭი მარტოდმარტო ასეთ სიციარ საქმეს ჩაიდენდა. ქალებმა კი ადვილად დაიგვირეს, რადგან კიშის მოტანილი ხორცი სულ ახალი იყო. ბოლოს და ბოლოს მონადირეები ბუჭლუნ-ბუჭლუნით გაუღდნენ გზას—ისინი ფიქრობდნენ, იქნებ კიშმა მართლა მოკლა დათვისი და ვაი თუ, ხორცს ძვალს არ გაავალაო. ეს კი აუცილებლად ნადირის მოკვლისთანავე უნდა გაეთედეს ჩრდილოეთში, რადგან ხორცი იქ ისე უტეც და ისე ძლიერ იყინება, რომ ყველაზე მკრედი დანაც კი ვერ გაუტლებს. ხოლო სამასი გირვანქა გაყინული ხორცის მარხილზე დღედა და უსწორმასწორო ყინულზე წამოღება ადვილი საქმე არ არის. მარტომ, როდესაც მონადირეები ზღნისმულად აღვილას მივიდნენ, ნახეს, რომ კიშმა მარტო დაეხოცა ნადირი, რაშიაც მათ ნამდვილად ეჭვი ეპარებოდათ, არამედ გამოეშინა და ოთხადაც კი დაეჭრა.

ასეთი იყო კიშის საიდუმლო ნადირობის დასაწყისი. ეს საიდუმლოება დღითიდღე სულ უფრო და უფრო ღრმავდებოდა. როდესაც კიში მეორედ წავიდა სანადიროდ, მან კარგა მოზრდილი დათვი მოკვლა, მესამედ კი—ძუ და ხვად დათვი ერთად. ჩვეულებრივ კიში სოფელთან სამი-ოთხი დღით მიდებდა. თუმცა კი უჩვეულოდ არ იყო მისთვის სწორად მთელი კვირის განმავლობაში ყინულთან მინდვრებზე დარჩენა. იგი თავს არ აძლევდა ნადირობაში თანამგზავებს, რაც ხალხს ძლიერ აკვირებდა.

— როგორ ახერხებს კიში ამდენ ნადირის დახოცვას!—



ხალხმა ნახა, რომ მას მიჰქონდა მწვილი და უმარავი ძვლის სათითურებიანი ისარი.

იგი დაჯდა და მთელი გულსყურით უხმუნდა ხალხის აღშფოთებას, რაც მისმა სიტყვებმა გამოიწვია.

— სად ვაგონილა ბიჭ-ბუჩქებმა საბუჩოე ილაპარაკონ!—წამოხტებოდა მოხუცმა უკ-გლუქმა.

— როგორ ბედვს ბავშვი, რომელსაც პირზე ღედის რძე არ შემორობა, მამაკაცებს ჰქუა ასწავლოს!—წამოიძახა მას-უქმა.—ნებას არ მივცი აბუნად ამიგდოს ბავშვმა, რომელიც ხორციისთვის ტრის!

მათი რისხვა საზღვარს გადაცილდა. კიშს უბრძანეს დასიძინებლად წახულიყო და დაეშუქნენ, რომ თვინებური საქციელისთვის მაგარად ცემდნენ და ხორცსაც აღარასოდეს მისცემდნენ.

კიში თვალები აწეოდა და სახე აელეწა. ყველასაგან შეურაცხყოფილი ფეხზე წამოხტა.

— მომხმინეთ, მამაკაცებო!—დაიყვირა მან.—არასოდეს, არასოდეს არ ვილაპარაკებ საბუჩოე, სანამ ხალხი არ მოვა ჩემთან და არ მეტყვის: ჩვევ ვცნად, რომ შენ ილაპარაკო, კიშ, ჩვენ ეს ვეპირდება, ასეთია ჩვენი სურვილიც. ახლა კი ისინი, ხალხო, ჩემი უკანასკნელი სიტყვა! მამაჩემი ბოკი დიდებული მონადირე იყო და მეც, მისი შვილი, ჩემი სამყარო ხორციისთვის თვითონ ვიჭრებ. იცოდეთ, ჩემს მიერ ნანადირევის განაწილება სამართლიანაა იქნება. ამყამად ძლიერი მამაკაცები ხორციისაგან გამამდარნი კვნიან. მომავალში არცერთი ქვრივი დედაკაცი და არც ერთი უმწეო მოხუცი არ იტარებს ღამით, იმის გამო, რომ მას ხორცი არა აქვს და თავსღლი დეისხებმა ყველა იმ ძალ-ღონით სავსე მამაკაცს, რომელიც უეღმეტს შეტყის. ეს მე, კიშმა ვთქვი!

როდესაც კიში იგლულან გამაღიანდა, მას ზოგნარევი სიცოლი დააყარეს, მაგრამ კიშმა კბილი კბილს დააჭირა და ისე გასწია თავისი მგობი, რომ უნაზ არ მიუხვდას.

მეორე დღეს იგი ზღვისპირის გასვლა იჩინა, სადაც ყინული და მიწა ერთმანეთს უერთდება. ხალხმა ნახა, რომ მას მიჰქონდა მწვილი და უმარავი ძვლის სათითურებიანი ისარი,

კითხავდა ხალხი ერთმანეთს.—მას ძალიდ ცი არ მიმყავს თან. ძალიდ ხომ მონადირის მარჯვენა ხელია!

ერთხელ კლუშ-კვანისა გახედა და მკითხა:

— რატომ ნადირობ მხოლოდ დათვზე?

კიშმა სათანადო პასუხი ვასცა:

— იმიტომ, რომ დათვს ყველაზე მეტი ხორცი აქვს.

სოფელში ჯადოსნობაზეც დაიწყეს ლაპარაკი.

— კიშს ნადირობაში ბოროტი სული ეხმარება, — ამტკიცებდნენ ზოგიერთი, — მამუ, რითი უნდა აიხსნას მისი ასეთი წარმატება?!

— იქნებ, ეს სული კეთილია და არა ბოროტი, — ამბობდნენ სხვები, — მისი მამა განთქმული მონადირე იყო, ვინ იცის, იქნებ შვილს მამის სული ეხმარება ნადირობაში და თან მოთმინებასა და გაბედულობას ასწავლის?!

ახე იყო თუ იხე, კიშის წარმატება გრძელდებოდა. ხშირად, გამოცდილი მონადირეები მხოლოდ მისი ნაწადირეების გამოტანას უნდებოდნენ. ხორცის განაწილებაში იგი იხარისხებოდა იყო. კიში, ისევე, როგორც მამამისი, თვალყურის აღევნებდა, რომ სოფლის ყველაზე საცოდავ, ყველაზე მოხუცებულ ქალსა და კაცს თავისი კუთვნილი წილი მიეღო; თითონ კი მხოლოდ იმდენს იტოვებდა, რამდენიც მისთვის აუცილებელი იყო. მას, როგორც სახელგანთნ მონადირესა და სამართლიან ადამიანს, ხალხმა პატივისცემითა და შიშით დაუწყო ეჭრა. სოფელში უკვე ლაპარაკობდნენ, რომ მოხუც კლუშ-კვანის სიკვდილის შემდეგ კიშს ბელადად აირჩევენ. კიშს, ასეთი წარმატებების გამო, ხალხი საბჭოზე მივლიდა, მაგრამ იგი არსადა ჩანდა, ხალხს კი თხოვნისა რცხვენდა.

— იგულს აწენება მინდა, — უთხრა ერთ დღეს კიშმა კლუშ-კვანისა და რამდენიმე მონადირეს, — იგი ისეთი დიდი უნდა გაყოს, რომ მე და აიკივამ მოსვენებითა და მყუდროდ ვიცხოვრო.

— კარგი, — უპასუხეს მონადირეებმა და თანხმობის ნიშნად თავი დააქნეს.

— მაგრამ მე იგულს ასაწენებელი დრო არა მაქვს. ჩემი საქმე ნადირობაა. ნადირობა კი მთელ დროს მართებს. ამიტომ სრულიად სამართლიანია იქნება, ჩემი იგულ ააშენოს სოფლის იმ ქალმა და კაცმა, რომელიც ჩემი ნაწადირევით იკვებება.

იგულ აშენდა ისეთი დიდი, რომ თვით კლუშ-კვანის ხაღვამაც კი აღემატებოდა. კიში და მისი დედა ახალ იგულში გადასახლდნენ. ბოკის სიკვდილის შემდეგ აიკივამ პირველად იგრძნო ბედნიერება და კმაყოფილება. მას, როგორც შესა-

ნიშნავი მონადირის დედას, მართა მატერიალური კეთილდღეობა კი არა, სახელიც ასარება. იგი სოფელში პირველი ქალი გახდა. სიტყვებს რჩევა-დარიგებას იღებდნენ მამაკაც და მის ბრძოლს ქიტყვებს სწორად ქმრებთან კამათის დროს იმეორებდნენ. მონადირეებს კი გონებიდან არ შორდებოდა კიშის სასწაულებრივი ნადირობის საიდუმლოება.

ერთხელ უგ-გულკმა მას ჯადოსნობაში დასწამა ცილი.

— კიშ, ხალხი ღებებს ბრალს ბოროტ სულებთან კავშირში და ფიქრობს, რომ ამიტომაც შენი ნადირობა ყოველთვის იღლიანია, — უთხრა მან.

— განა ხორცი ოდესმე ცული გამომდგარა? ან მისგან ვინმე ვადა გამხდარა? რატომ მწყაბე ცილს ჯადოსნობაში? ჩემი ბედნიერება ხომ არა გმურის? — მკითხა კიშმა.

შერცხვნილი და დამარცხებული უგ-გულკმა ხალხს მოსცილდა. ქალბა მას სიცილი დააყარეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ერთ დამეს, საბჭოზე ხალხმა გადაწყვიტა კიშისათვის მვერავებზე დადევნებინა. მართლაც, კიში სანადიროდ წავიდა თუ არა, ყველაზე ახალგაზრდა, მაგრამ გამოცდილი მონადირეები, ბოძი და ბაუნი ფრთხილად კვალდაკვალ გაჰყვნი მას. ხუთი დღის შემდეგ განცვიფრებისაგან თვალმდებარეობდა ბოძი და ბაუნი სოფელში დაბრუნდნენ. მათ მოთმინება აღარ ყოფიდათ მოეთხოვრათ ნახული.


კლუშ-კვანის იგულში საბჭო საჩქაროდ მოიწვიეს.

— მძებო! — დაიწყო ბოძმა. — ბრძანების თანახმად ჩვენ კვალ და კვალ მივყევით კიშს, ისე ეშმაკურად, რომ მან ვერაფერი გაიგო. ნახევარი დღის სავალზე მას უზარმაზარი ძუ დათვი შეხვდა.

— ჩემს სიცოცხლეში არ მენახა ისე დიდი დათვი, — სიტყვა გააწყვეტინა ბაუნმა, — დათვს, ეტყობოდა, ბრძოლაში ჩაბმა არ უნდოდა. იგი გაბრუნდა და ნელი ნაბიჯით ყინულს გაჰყვა. ჩვენ კლდთან ვუჭურებდით. დათვი ჩვენზე მოდიოდა. მას კიში ხელების ქნევითა და ხმამაღალი ყვირილით უშიშრად მიჰყვებოდა. დათვი გაბრაზდა, უკან ფეხებზე შედგა და დმული დაიწყო. კიში არ შეჩერდა — დათვისკენ მიიწვდა.

— დიაც, პირდაპირ დათვისკენ მიიწვდა! — განაგრძო თხრობა ბოძმა. — მამის დათვი მისკენ გაემართა. კიში გაიქცა. სირბილის დროს მან ყინულზე პაწია ბურთული დააგდო. დათვი შეჩერდა, დაეხსოა და გადაყლაპა. კიში შირბოდა და თან პატარა ბურთულებს აგდებდა. დათვი მათ ყლაპავდა.

ყოველის მხრიდან ექვანარევი წამოძახილი გაისმა. უგ-გულკმა განაცხადა, რომ მის ეს ამბავი არ სჯეროდა.



დათვი გაბრაზდა, უკან ფეხებზე შედგა და დმული დაიწყო.

— საკუთარი თვალთ ვნახეთ,—უპასუხა ბიმმა.

— დიხს, საკუთარი თვალთ,— დადასტურა ბაუნმა და თბრბა განაგრძო,— ეს ყველაფერი დაიბრანს გრძელდებოდა. ბოლოს დათვი უტყრად ტანში ვაიმარა, ტკივილისაგან ხმამაღლა დაიღრიალა და გაცოფებულმა წინა თათების ქნევა დაიწყო. კიში დათვის კარგა მანძილთ დაწორდა. იქ მას ხიფათი აღარ მოელოდა. დათვი ტკივილებისაგან შეწუხებულთ, მას ყურადღებას აღარ აქცევდა.

— ტკივილებმა იგი ისე შეაწუხა,— შეაწყვეტინა ბიმმა,— რომ ბრჭყალებით სახის ფხაჭხა და მხიარული ლეკვივით ხტუნევა დაიწყო. ისე საწარლად ღრიალებდა იგი, რომ მისი ხტუნვა ტკივილისაგან იყო გამოწვეული. ჩემს დღეში არა ვარ ასეთი ხანახანობის მნახველი!

— მსგავსი რამ არავის უნახავს,— ჩაერთა ბაუნი,— მერე რა უწარმაწარი დათვი იყო!

— ჯადოსნობაა!—წამოიძახა უგ-გლუქმა.

— არ ვიცი,—უპასუხა მას ბაუნი,— ჯადოსნობა ეს თუ არა, მაგრამ მე მოგახსენეთ ყველაფერი ის, რაც ჩემი საკუთარი თვალთ ვნახე. დათვი ისეთი მძიმე იყო და ტკივილებისაგან იმდენს დატბოდა, რომ მალე მოიქანცა და დასუსტდა თავის ქნევით იგი ყინულთან ნაპირს გახყვა. დროგამოშვებით ჯდებოდა და წყმტუტუნებდა. ოთხი დღის განმავლობაში კიში დათვის მისდებდა, ჩვენ კი—კიშს. დათვი სულ უფრო და უფრო სუსტდებოდა და ტკივილებისაგან განუწყვეტლებოდა ბლავდა.

— ჯადოსნობაა!—წამოიძახა კვლავ უგ-გლუქმა,— ნამდვილი ჯადოსნობა!

— შეიძლება ჯადოსნობაც იყოს!—აქ ბიმმა კვლავ შეცვალა ბაუნი,— დათვი ხან ერთი და ხან მეორე გზით დადიოდა. კვლავ ბრუნდებოდა და თავის კვალს სჭირდა. ბოლოს იგი იმ ადგილთან მივიდა, სადაც კიში მას პირველად შეხვდა. აქ დათვი უკვე ისეთი დასუსტებული იყო, რომ ცოცვაც კი აღარ შეეძლო, კიში ახლოს მივიდა მასთან და სასიკვდილოთ განემარა.

— მერე?—იკითხა კლოშ-კვანმა.

— მერე კიში დათვის გატყაფებას შეუდგა. ჩვენ კი სოფელში გამოვიქციეთ, რომ გვეამბნა თქვენთვის კიშის ნადირობის შესახებ.

საღამო ხანს ქალებმა მოკლულთ დათვის სორცი მოიტანეს, კაცებმა კი საბუო მოიწვიეს. ნადირობიდან დაბრუნებულ კიშს შიკრიკი ვაუგზავნეს და საბუოზე მისვლა თხოვეს. კიშმა შეუთვალა, რომ იგი დაღლილი იყო და მშვიტი, რომ მისი იგულ იმდენად დიდი და მოხერხებული იყო,— ყველა მათგანს დაიტყვდა.

საღს ცნობისმოყვარებამ დასძლია. მთელი საბუო კლოშ-კვანის მეთაურობით კიშის იგულსკენ გაემართა. კიში ვან-

შობდა, მაგრამ ხალხი მაინც დიდი პატივისცემით მიიღო და უფროსობის მიხედვით დასხა. აიკივა ხან შეფთავდა, ხან ამაყად ეტარა თავი. კიში სრულიად დამშვიდებული იყო. კლოშ-კვანმა ბიშის და ბაუნის ნაამბობი გაიმეორა და შემდეგ კიშს მკაცრად მიმართა:

— კიშ, შენ შენი ნადირობის ხერხი უნდა აგვიხსნა და უნდა გვიხარა: გაქვს თუ არა კავშირი ჯადოსნობასთან?

კიშმა თავი მაღლა ასწია და გაიღმა.

— ო, არა, კლოშ-კვან, ჯადოსნობის ბავშვს რა გაეგება? მეც მისი არაფერი მესმის, მე ჩრდილოეთის დათვზე ნადირობის იოლი ხერხი გამოვიგონე. ეს მხოლოდ და მხოლოდ მოხერხებაა და არა ჯადოსნობა.

— მას, ყველა ჩვენგანს შეუძლია მაგ ხერხით ინადიროს?— ყველას!—უპასუხა კიშმა.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. ხალხი ერთმანეთს უყურებდა, კიში კი ტანს განაგრძობდა.

— და... და... და შენ გვიამბობ ამის შესახებ, კიშ—აკანკალებული ხმით იკითხა კლოშ-კვანმა.


— გაიმბობთ,—უპასუხა კიშმა, ძლიოდან ტვინი გამოსწოვდა და ფეხზე წაიზღვა,— ძალიან იოლი რამ არის, უყურეთ! მან ვეუხასის უღვაშის ყველაზე წყრილი ღერი აიღო და ხალხს აჩვენა. უღვაშის ღერის ბოლოები ნემსივით წვეტიანს იყო. მან მჭიდროდ, მრგვალად დაახვია იგი და მუჭი მოუჭირა. შემდეგ უტყრად მუჭი გაშალა და უღვაშის ღერი კვლავ გასწორდა.

— აი, ასე, თუ ვა მან,— უნდა აიღო სელაპის ქონის პატარა ნაჭერი და შეეფუღრა გააკეთო, მასში მჭიდროდ დახვეული უღვაშის ღერი უნდა ჩაღვთ და ზემოდან ქონის სხვა ნაჭერი დააფაროთ. შემდეგ გარეთ უნდა გიციანთ, რომ ცოტათი გაიყინოს. დათვი გადაყლაპავს ამ გაყინულ პატარა ბურთულას. ქონი დადნება, უღვაშის ღერი თავისი წვეტიანი ბოლოებით გასწორდება. დათვი ავად გახდება და, როდესაც ძალიან დასუსტდება, მისი შუბით მოკვლა უკვე ფადილი იქნება. სულ უბრალო რამ არის!

გაკვირვებისაგან უგ-გლუქს აღმოხდა „ოჰ! კლოშ-კვანს კი—„აჰ! ყველამ თავიხებურად გამოხატა გაკვირება და ყველამ კარგად გაიგო.

ასეთი თქმულება კიშზე, რომელიც ცხოვრობდა დიდი ხნის წინათ პოლარული ზღვის ნაპირას, რომელიც ყველაზე ღარიბ იგულში დაიბადა და, თავისი გულადობისა და გამჭრიახი გონების გამო, სოფელს სათავეში ჩაუდგა. ამბობენ, რომ მისი სიცოცხლის განმავლობაში სოფელი ბედნიერი იყო. არ იყო არც ერთი ქვრივი და უმწურო მოხუცი, რომელსაც ეტირა ღამით, იმის გამო, რომ სორცი არ ქონდა.

ინგლისურიდან თარგმნა თინათინ ჯაპახიშვილმა.



უცნაური თევზები

(მეზღვაურის ნამბოზი)



ზამთარია, თოვს, ქრის ზღაფური, ხაზურაბს აღელვებული ზღვა.

ზღვის პირას, მანდარინის ბურჭებს შორის დგას ერთსარ-თულიანი, მწვანედ შეღებილი ლამაზი სახლი, შიგ დულუნებს დუმელი. ღუმელთან, ტახტზე წამოწოლილა ბაბუა ნიკა. იქვე სხედან მისი შვილიშვილები—სამი ბიჭი და ორი გოგონა.

— ბაბუა, შენი სიკაცებელ ზღვაზე გაგიტარებია, კიდევ გვიამებ რამე,—თხოვს თმახუჭუბა გივი.

ბაბუას ეთვლინება, თვალები ტკბილად ესუტება, სურს თვალი მოატყოს, შვილიშვილები კი არ უყვებიან.

— ცელქები, თავი დაბანგებთ, მეტი არაფერი ვიცი,— ამბობს ბაბუა.

— თევზები თუ ლაპარაკობენ, ან სენა თუ აქვთ?—კითხება წაბლისფერთანიხა ბათუნა.

ბაბუა შვილიშვილებს გადაყვანა და თვალები მილულა.

— დაგვიჩენა, თვალებს რატომ ხუჭუჭა,—საყვიდურობს ბათუნა.

ბაბუას თვით, გრძელ უღვანეში ეშმაკურად ელიმება, მცირე ხანს სდუმს, მერე დინჯად, წყნარად ყვება ამბავს:

— ვინც ფიტრობს, ბავშვები, თევზი, ან ზღვის ცხოველი სცენას მოსახარება და მუნჯვია, უთხოვდ ცდება. თქვენ, აღბათ, წვაგითხებთ ჰომეროსის პოემა, სადაც სირინოზი უბ-მოსს ოდისესი. ზოგიერთი მეცნიერი ფიტრობს, რომ ის თვე-ზი, რომელმაც შეცდომად შეიყვანა უდიდესი ბერძენი პოეტი არის სციენა. მართლაც, მე ბევრჯერ მომისმენია ამ თევზის უცნაური ხმა. მახსოვს: თბილი, წყნარი ღამე იყო. მივცურავდით ხმელთაშუა ზღვაში, საქესიან ვიდექი. ზღვის ღორები მოგვედოდნენ, ბანდახან გემის ცხვირთან გამოჩნდებოდნენ, ყვინ-თადნენ. წყალი ინთებოდა, ზღვის ღორები ძვირფას, თვითრად ანთებულ მოსახარებაში გახვეულ ღამარულ არსებებს გავედნენ, საიდან მოდის ეს შუქი? ამ შუქს ზღვის ბატონებრივი გამოს-ცემენ, ისინი ანათებენ. როგორც გითხარიო, საქესთან ვიდექი. უცებ ყურნი მივკარი რაღაც მელოდოურ, სასიამოვნო ხმას და გაგიფიქრე: ჩვენი მხარეული ქალი მოხიბლა ამ საუცხოო, ვარსკვლავიანი ღამე და მღერის-მეთქი. მაგრამ ჩქარა დავ-რწმუნდი, რომ ვცდებოდი. ხმა ზღვის სიღრმიდან ამოდიოდა. უცნაურმა ყრუანტულმა დამიარა, ოცნებამ გამიტაცა, ვფიქ-რობდი: ზღვიდან ამოცურდება ქალთევზა, დამანახებს თავის შუშვინიერეს სახეს და მომხალოვებდა სიმღერას წამოწყებს-მეთქი. ისე გათენდა, ქალთევზა არ მინახავს. მერე გაიფიქ-ქალთევზა კი არა, თურმე თევზი მღეროდა, თევზი, რომელსაც სციენა მწოდებდა. სციენა ორ მეტრამდე იზარდებდა და საჭმე-ლადაც კარგია. სციენას ორი სახეობა შევ ზღვაშიც ვხვდებო-ბი. ეს კიდევ არაფერი, ჩემო კარგებო, იპაიონის ზღვაში სციენე-

ბის კონცერტი მომისმენია, ხოლო ჩინეთის წყლებში დამაფ-რთხო თევზმა ცინოვლოსუსმა. ღამით, ჩემი მორიგეობის დროს მკაფიოდ გაისმა ზარის რკვეის მაგვარი ხმა, მერე თითქოს გამობნოს ყვირი, შემდეგ კი ქნარის ჰანგები. ძალი-ან შეგმინდი. თურმე ნუ იტყვია, ჩემი შემფთობების მიზეზი თევზი ცინოვლოსუსი ყოფილა და ის ხმებიც მას ეკუთვნოდა.

როცა თევზი ვიჭერდი აზოვის ზღვაში, ბიჭები და გოგო-ნები დაგვედნენ და გვედგებოდნენ: ზღვის მამალი თუ დაიჭირეთ, გავჩუქეთო. ზღვის მამალი თვის ამოყაფს წყლი-დან და ხმაბამით სტვენს.

ოვეწმე ცხოვრობს დიდი თევზი მზე-თევზა. მას წყალში თუ შეგზე, დრტუნებს, კბილებს აღრქალებს, ხოლო ნაპირზე ამოყვანილი—გუნესის.

მე თქვენ უნდა გაგაცნოთ აგრეთვე კიბო—აღფეუსი. სასა-ცილო რამ არის ის ოხერი. ერთი მარწუხი დიდი აქვს, მე-ორე კი პატარა. დიდი მარწუხით ატაკუნებს, წყლის მცირე ნაკადს ისვრს, თავისი კუთით მტერებს აწინებს. მტაცებელ ცხოველს, ან თევზს წყლის მცირე ნაკადით, ან ტაკუნით შეაწინებს? აღფეუსი მტერს რომ შეწინწავს, ატაკუნებს და ატაკუნებს და ზოგიერთ მტერს აფრთხობს კიდევ. ჩემმა ამნახავმა მესლუფარმა სიდოროვმა როგორღაც ხელთ ჩაიგდო აღფეუსი, გახარებულმა შუშის ჭურჭელში ჩასვა, ჭურჭელი კვბოში, ე. ი. გვეხე მეზღვაურების საცხოვრებელ ბინაში შემოიტანა და მაიდანებ დადიო. რამდენიმე წუთის შემდეგ ჭურჭელმა ისე გაიწარუნა, თითქოს ტყდებოდა. მივცვივდიო, ჭურჭელი დავაფალოვებო, მაგრამ იგი მთელი და უფნებელი იყო, აღფეუსიც თავს არჩენდა გრძობდა ღამითაც გაისმოდა ჭურჭლის ტყდომის ხმა. ბევრს ვიცინიოდი, როცა სიდორო-ვი ლაგინიდან წამოიჭრებოდა და კიბოსკენ გაბრუნდა.

— გაიპარა თქვენი კიბო?—ვეკითხებოდი.

— არა, როგორ გაიტყვია, ჭურჭელი მთელია. პირდა-პირ საკვირველდება. ჭურჭელი ტყდება და მაინც მთელია ვერაფერი გაიპარა, ეშმაკი ბომ არ ზის ამ ჭურჭელში? ზღვა





გლისური იცოდა, ინგლისური ზომ გეციცი და ასეთი რამ მიაზნო: ჭაშაყის გუნდი როცა იძვრის, ისეთი ხმაურია, თითქოს ჩიტის ბარტყები ჭყიბინებენო, კაპარტინას არასასიამოვნო ხმა აქვსო, სარდინა ხმაურთან როგორც წყალთევმა წყნარ ღამეში, ქარსალის ხმაური მაგონებს ტოტების ხმაურს ქარის დროსო და ა. შ.

არსებობს, ბავშვებო, სპეციალური ხელსაწყო გიდროფონი, რომელსაც ზღვედ ტახუნდალ „წყალქვეშა ყურები“ ჰქვია. გიდროფონი იჭერს წყალქვეშა ხმებს, იგი ომის დროს საჭირო და სასარგებლოა. გიდროფონის საშუალებით სამხედრო კატარღები იგებდნენ მტრის წყალქვეშა ნავის მოძრაობას, მაგრამ ასეთი შემთხვევა ყოველი გიდროფონმა დაიჭირა რაღაც საეჭვო ხმა. გადაწყვეტეს, რომ ის მტრის წყალქვეშა ნავია. დააყარეს ბომბები. თურმე წყალქვეშა ნავი კი არა, ხელიც ცხოველი მჯღღარა იქვე ფსყრუხუ და ხმაურობდა.

თქვენ შემეკითხეთ—თევზებს თუ აქეთ სძენაო. რა თქმა უნდა, აქეთ. ზღვიდან ამოყვანილს არაფერი ესმის, მაგრამ წყალში საოცრად გამახვილებულია თევზის სმენითი ორგანოები. თევზი კოსატკა, რომელსაც აგრეთვე ეძახიან მკელღვეშაშს, სმენით არეკვს მსხვერპლის ადგილმდებარეობას წყალში. ასეა სხვა თევზები, საერთოდ ცნობილია: თევზის ჭერის დროს ჩუმიად უნდა იყო. შორეულ აღმოსავლეთში ამბობენ: როცა მეზადღურთა მოტორიანი წავი, ან კატარღა გადის ზღვაში, ზღვის ღორები ნაპირს წყურბებიან, თავის შეგლიან, ზოლო საბარგო, ან სამავალი კატარღებს ყურადღებას არ აქცევენო. თევზი რით განანსვავებს მეთევზეთა კატარღის ხმაურს სამავალი კატარღის ხმაურისაგან, ეს მე კი არა, ჯერჯერობით მეცინებოდა ამც კი არ იციან. მე მხოლოდ ფაქტს მოვასწავებო.

წყალი მშვენიერი გამტარია ხმისა. ერთხელ, წყნარ ოკეანეში ჩვენი ცველფარეში გადავარდა გემიდან. ვიდრე მივეშველებოდით და წყლიდან ამოვიყვანილი, მის გარშემო თავი მოიყარეს დიდმა თევზებმა. თევზები, რა თქმა უნდა, გაგლჯდნენ მას, მაგრამ ცველფარეში არ დაიბნა. ჯიბეში ვყოლითონის ნატყხები. ამოიღო გემიდან, წყალში რამდენჯერმე შემოიჭრა ერთმანეთს და თევზები გაიფანტნენ, — ასე დასრულდა ამბავი ბაბუა ნიკოთ.

არ ღელავს, მაგიდა არ ირხვია, მამო რა ემართება ამ კურტელს? ერთხელ, სრულიად შემთხვევით ფარდა ახსადა ჩვენთვის საიდუმლო, გაუგებარ მოვლუნას. ფანქრის წვერით შეგვხეკობნა. კიბომ წყლის ნაკადი შესახა ფანქარ და მარწუხით ისე გაატკუნა, რომ გადაწუვიტე — ქურტელი დამისხვარამეთქი. თურმე კიბო აღფეფსი მარწუხს ატაკუნებდა, ჩვენ კი გვეგონა ქურტელი ტყდებოდა.

პირადად არ გამიგონია, ამხანაგებისაგან კი მსმენია, რომ ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეში დიდი თევზი ნარვალი ხმა-მალა ბღავს. რაღა შორს წადიდეთ, ყოველ თქვენგანს უნდა ხვდეს ზღვის ღორი. ღორები სტყენით ვსაუბრებიან ერთმანეთს. დედა ღორი უკან მისდევს თავის შეილგებს და თითქოს სტყენს, თავის ენაზე, ალბათ, ვალურსება, ელპარაკება. ყურფემულიაობენ პაწიები, თანაც დედას სტყენითვე აძლევენ პასუხს. მე ღრმად მუერია, რომ თევზებს აქეთ ენა, რომ ისინი საუბრობენ.

დიდი ხნის წინათ ასეთ სურათს წააწყდი მალაის კუნძულებთან: ადგილობრივი მებაღურები დიდრონი ნავეებით გადიან ზღვაში სათევზაოდ. მათთან უამრავად იმყოფება გამოცდილი მებაღური კობტა, მსუბუქი ნავით. იგი ხანდახან ნავიდან წყალში ეშვება, იმალება წყალში, ცალი ხელით კი თავის ნავს ეკიდება. ყველა მისჩერება გამოცდილი მებაღურის ნავს, თევზს არაფერს იჭერს, ელოდებიან მის სიტყვას. თუ იგი იტყვის აქ თევზი არისო, მხოლოდ მაშინ შეუდგებიან ბადეების ჩაყარას, თევზობას. წყალში რას აეთვებს გამოცდილი მებაღური? იგი სმენით არეკვს იმ თევზის რაოდენობას, რომელიც ახლო-მახლო იმყოფება. შემთხვევა რომ მომეცა, მალიელ მებაღურს ვიკითხე: წყალში რას ისმენ-მეთქი. მან ინ-

ზ ი ნ მ ი დ მ ს ნ ი შ ა ნ ს

«ნორჩი ტურისტები»



საკავშირო ალკი ცენტრალურმა კომიტეტმა დააწესა სამკერდე ნიშანი „ნორჩი ტურისტები“. ნიშნით „ნორჩი ტურისტები“ რაზემულის საბჭო აჯილოდებს პიონერს, რომელიც მონაწილეობს მოსოლიტურ მხარეში მოგზაურობაში, თუ მან ისწავლა ადგილმდებარებაში გარკვევა რუკითა და ურუკოდ, თუ შეუძლია იპოვოს გზა კომპასით და უკომპასოდ — მისი მიხედვით, საათით, ადგილობრივი საგნებით. იცის დახურულ, გადაკვეთილ ადგილებს მოძრაობის წიხები და ისწავლა გზაში დაბრკოლებათა დამლევა. გაცნობილია საგზაო და ტოპოგრაფიული ნიშნებს, შეუძლია კვლის გამოცნობა. ემზადება რა სამგზავროდ, ნორჩი ტურისტს უნდა შეეძლოს ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის სწორად ჩაცმა და სალამქროდ დატყვრა, უნდა შეეძლოს სწორად ამოარჩიოს შესასვენებელი ადგილი, მოაწყოს ღამისათვის, დაწინოს კოცონი, მოამ-

ზალოს საქმელი და შეძლოს პირველი სამედიცინო დახმარების გაწევა. ნიშანს „ნორჩი ტურისტები“ მიანიჭებს რაზემულის საბჭო პიონერს, რომელსაც არა აქვს ორიანები. მიიღებს რა ნიშანს უფროსი პიონერხელმძღვანელისაგან ან რაზემულის საბჭოს თავმჯდომარისაგან, პიონერი მას ატარებს მკერდის მარჯვენა მხარეს.



ფერადქვებიანი მთა

(თუშჩემენული ზღაპარი)

ოღესღაც ერთ სოფელში ქვერივი დედაბერი ცხოვრობდა, პყავდა ვაჭიშვილი—მირალი. ისინი ღირბადა ცხოვრობდნენ. დედაბერი ხალხს ემსახურებოდა: ზოგს ურეცხავდა, ზოგს უკერავდა, ზოგს მატყლს უჭერდა, და საზრდოს ამით შოულობდა.

როდესაც მირალი წამოიზარდა, დედამ უთხრა:

—ოჰ, შვილო, უკვე აღარ შემძლია მუშაობა! იშოვე რამე ისეთი სამუშაო, რომ თავი ირჩინო.

—კარგო, —უთხრა მირალმა და გასწია სამუშაოს საძებნელად.

აქეთ იარა, იქით იარა და სამუშაო ვერ იშოვნა. ბოლოს ერთ მაისთან *) მივიდა და ჰკითხა:

—ბაი, მოჯამაგირედ არ გინდათ?
—მინდაო, —უპასუხა ბაიმ.

და მირალი მოჯამაგირედ აიყვანა. გავიდა ერთი დღე და ბაიმ თაგის მოჯამაგირეს არაფერი არ გააკეთებინა. გავიდა მეორე დღეც, მესამეც... მაგრამ ბაი თითქო ვერც კი ამჩნევდა თაგის მოჯამაგირეს.

გაუკვირდა ეს მირალის.

«რატომ ამიყვანა, თუ არ მამუშავებდაო?» —გაიფიქრა მან.

მივიდა ბაისთან და ჰკითხა:

—მამუშავებ თუ არა?
—გამუშავებ —უპასუხა ბაიმ, — ხეალ წამოხვალ ჩემთან ერთად!

მეორე დღეს ბაიმ მირალის უბრძანა, —

დაეკლა ხარი და გაეტყავებინა; შემდეგ უბრძანა, —

ოთხი დღი ტომარა მოეტანა და ორი აქლემი მოეყვანა. ერთ აქლემზე ხარის ტყავი და ტომარები მოათავსეს, მეორეზე თვითონ ბაი შეჯდა და გზას გაუდგნენ.

მიალწივს შორეულ მთის ძირას. აქ ბაიმ აქლემები შეჩერა და უბრძანა მირალის, —

აქლემებიდან ტომარები და ხარის ტყავი ჩამოეღო.

როცა მირალიმ ბრძანება შესასრულა,

ბაიმ უთხრა, — გაღმობრუნებია ხარის ტყავი და ზედ დაწოლილიყო.

ვერ მიხვდა მირალი რა საჭირო იყო ხარის ტყავზე დაწოლა, მაგრამ შეკამათება ვერ გაბედა და ისე მოიქცა, როგორც ბატონმა ბრძანა.

ბაიმ მირალი ტყავში გაახვია, დველი შემოაკრა და თვითონ ქვევს იქით მიიშალა.

ცოტა ხნის შემდეგ ორი დიდი მტკეპელი ფრინველი მოფრინდა, დასტაცეს ხარის ტყავს ნისკარტებში და მიუკალი მთის მწვერვალზე აიტანეს.

აქ ფრინველებმა ბრტყალებითა და ნისკარტებით ტყავის აქეთ-იქით ქაჩა იწყეს და გაგლიჯეს. აღამიანი რომ დაინახეს, დაფრთხნენ, სწრაფად გაფრინდნენ და ხარის ტყავი თან წაიღეს.

მირალი აღვა და მიმოიხედა.

ბაიმ ქვემოდან ასედა და დაუყვირა:

— რალას უდგახარ! გაღმოყარე ეგ ფერადი ქვები, ფეხქვეშ რომ გაყრიას.

დაიხედა მირალმა და, მართლაც, ყველგან უამრავი, სხვადასხვანაირი ძვირფასი ქვები ეყარა: ალმასი, ლალი, იაკუნდი, ფირუზი და ზურმუხტი... მსხვილი და ღამაზი ქვები თვალწარბტყავდ ეღვარებდნენ მზეზე.

მირალი ფერადი ქვების მოგროვებასა და ძირს ჩამოყრას შეუდგა.

უყრის მირალი ქვებს, ბაი კი ამ ქვებით თავის დიდროს ტომარებს ავსებს.

ყარა მირალმა, ყარა ბაისთვის ძვირფასი ქვები და ბოლოს შეწუხდა:

